






# სანიოზუდი აბუბი უფროსაბისთვის

გბამკვლევი მშობელთა დასახმარებლად





მშობლები განათლებისთვის  
PARENTS FOR EDUCATION



# სანიოზუდი აგბები უფროსებისთვის

გბამკვლევი მშობელთა დასახმარებლად

გზამკვლევაზე მუშაობდნენ:

**მაია ბოგოლაძე**

**მანანა ჯინჭარაძე**

**რუსუდან თევზაძე**

დიზაინი:

**PRINTER.GE**

**დავით ყელბერაშვილი**

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორთა ჯგუფი და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები.

წიგნი ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ფასეულია ბავშვი და მისი მომავალი. მასში თავმოყრილია ის რეალური ამბები მოზარდების ცხოვრებიდან, რომელიც ყველამ ვიცით; გადმოცემულია მოზარდებისა და მათი მშობლების ემოციები, განცდები, პრობლემები; დასმულია საკითხები, რომელიც დიღემად იქცა არა მარტო მშობლისთვის, არამედ სკოლისა და საზოგადოებისთვისაც.

წიგნის პერსონაჟებიც თავად ბავშვები და მშობლები არიან. ისინი არავის კიცხავენ, არ აყალიბებენ სტერეოტიპებს/სტიგმებსა და ყალბ წარმოდგენებს სკოლისა და მასწავლებლის მიმართ; მათ სჭირდებათ რჩევები, ითხოვენ რეკომენდაციებს და დახმარებას აღზრდაში.

„ამბებში“ შეხვდებით მასწავლებლებს, რომელთა კვალიფიკაცია საამაყო და მისაბაძია, რომლებიც წუთებს, საათებს უთმობენ მოზარდებს მათთვის საუკეთესო ცხოვრების შესაქმნელად; რომლებიც არასოდეს ანსხვავებენ ბავშვებს, არ უქმნიან მცდარ წარმოსახვებს, არ აცხოვრებენ ტყუილში, ღიად გამოხატავენ გრძობებს მათ მიმართ, არიან მოდელური, საუბრობენ პოზიტიურ ენაზე, პატივს სცემენ საკუთარ თავს და გარშემომყოფებს; თუმცა აქ ვხვდებით ისეთებსაც, რომელთაც კომპეტენცია არ ჰყოფნით, რათა პოზიტიურად მოქმედი კვალი დატოვონ ბავშვების ცხოვრებაში და არ ავინ მათ.

„ამბების“ სტრუქტურა მოიცავს შესავალს პედაგოგიკაში, ფსიქოლოგთა შეხედულებებს ასაკობრივი თავისებურებების, მოზარდის განვითარების შესახებ, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიებს, თავად ამბავს და რეკომენდაციებს თითოეული შემთხვევის შემდეგ. წიგნი დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და დაინტერესებულ საზოგადოებას შეძლონ პრობლემის ზუსტი დიაგნოზირება და სამოქმედო გზები დასახონ.

## ნომონ გავიხსნოთ ბავშვი

- ▶ თუ გინდა ბავშვი გაიცნო სიყვარულის ენაზე უნდა ესაუბრო;
- ▶ თუ გინდა ბავშვი სწორად აღზარდო სიყვარული უნდა ასწავლო.
- ▶ სიყვარული ურთიერთობის ენაა;
- ▶ ბავშვებთან ურთიერთობა კი გრძნობების სამყაროსაც განეკუთვნება და მოქმედებისასაც.

დღეს სასკოლო საზოგადოებას, - მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს, - უჭირს სიყვარულის ენაზე საუბარი. აგრესია და დაგროვილი ბოღმა უფრო მკვეთრად მოსჩანს ამ ადამიანებთან ურთიერთობაში, რაც საბოლოოდ უკმაყოფილებას წარმოშობს, საუკეთესო შემთხვევაში, ხოლო უარესში - დისკრიმინაციას.

გავრცელებული აგრესია და ძალადობა არასწორი კომუნიკაციის, დაბალი კომპეტენციის, დაუსჯელობის სინდრომის, „გამართლებული“ და მოქმედი სტერეოტიპების, წინასწარშექმნილი ნეგატიური შეხედულებების საფუძველზე წარმოიქმნება და უნდა ითქვას, რომ მან სასკოლო სისტემაში ყველაზე ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა.

იმისთვის, რომ მინიმუმადე დავიყვანოთ აგრესია, სიყვარულისა და თანაგრძნობის ენაზე უნდა ვისაუბროთ მოზარდთან, ასევე ვიმოქმედოთ და საშუალება მივცეთ ჩვენს თავს ეს ენა დავამკვიდროთ სასკოლო სივრცეში. ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლაში, საკლასო ოთახში კომუნიკაციის ეს ტიპი ძალიან მოხერხებულია და მინიმუმადე დაჰყავს ბავშვზე ძალადობა ნებისმიერი ფორმით. მთავარია ამ კომუნიკაციის ენა გაითავისოს მშობელმა, მასწავლებელმა, საზოგადოების წევრმა.

მეცნიერული კვლევების სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვზე ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღკვეთა შესაძლებელია მანამ, სანამ ის მოხდება: „დადგა დრო, მეტი ყურადღება სწორედ ძალადობის თავიდან ასაცილებელ წინასწარ ღონისძიებებს დავუთმოთ“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია).

## შესავალი

ეპოქალური მიდგომით განათლების ყველა სისტემას საკუთარი უპირატესი მდგენელი გააჩნდა. დღევანდელ რეალობაში კი, განათლების სისტემის უმთავრეს გამოწვევად შესაძლებელია ჩაითვალოს უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული მოქალაქის აღზრდა. ცხადია ეს არ გამოირიცხავს ცოდნაზე დაფუძნებულ სწავლა-აღზრდას, უბრალოდ გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე განათლების პარადიგმა განსხვავებულ რეალობას ქმნის, რაც თავის მხრივ მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ძალთა გადანაწილების თვალსაზრისით. ანუ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უნარზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც მიღებულ თეორიულ ცოდნას ყოფით/პრაქტიკულ ხასიათს შესძენს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მკაფიოდ მინიშნებს იმაზე, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

მოსწავლის მოქალაქედ აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის, აუცილებელია სამი უმთავრესი მდგენელის დაბალანსებული არსებობა.

- 1) გარკვეული ტიპის მოქალაქეობრივი ცოდნა,
- 2) მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები,
- 3) მოქალაქეობრივი განწყობა/დამოკიდებულებები.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, ხშირად მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, თუ რომელია მათგან უპირატესი. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე მდგენელს აუცილებელია ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი დროსა და სივრცეში მოსწავლის ასაკობრივი, თუ ფსიქოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით.

სწორედ, სამოქალაქო განათლება ემსახურება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერის ხელშეწყობას. ამისათვის აუცილებელია მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული უნარების დანერგვა, ორივე ერთად კი, შექმნის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სახელმწიფოსადმი სწორი დამოკიდებულებების და განწყობების მქონე მოქალაქეს.

ყოველივე ზემოთქმულის საუკეთესო დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთენიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელი-ხელს გადაბმული უნდა ვილოდეს სკოლაში.

აღზრდისა და სწავლის პროცესში არსებული მიზნების მისაღწევად უსაფრთხო სკოლის კონცეფციას მთავარი ადგილი უჭირავს. ხოლო მშობელთა აქტიური და არსებითად შინაარსობრივი ჩართულობა უპირველესი გარანტია სკოლაში მენტალური და ფიზიკური უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

კვლევებმა, პრაქტიკულმა გამოცდილებამ და დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ სკოლის ცხოვრების რეგულაციაში, ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის დანერგვა და კიდევ უფრო გაძლიერება, რაც გულისხმობს სამეურვეო საბჭოების გარდა, არაფორმალური ტიპის ჩართულობას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სურვილის მქონე მშობლის ჩართვას და გამორიცხავს ე. წ. შერჩევის პრინციპს.

მშობელი საუკეთესო დამხმარე ძალაა მასწავლებლისთვის მოსწავლის აღზრდის პროცესში. ამგვარად აუცილებელია სამი უმნიშვნელოვანესი რგოლის ერთმანეთთან თანამშრომლობა საკუთარი შვილების და სხვათა კეთილდღეობისათვის: **ესაა სკოლა, მშობელი და მოსწავლე.**

სკოლის სამ მოთამაშეს შორის, განათლების ირგვლივ სტერეოტიპების და სტიგმის ნგრევის უზრუნველყოფა მხოლოდ ღია, გახსნილი ურთიერთობებით და თანამშრომლობით არის შესაძლებელი, რომლის მდგრადობა მოთამაშეთა შორის მეგობრობით მიიღწევა. ყოველივეს კი შეიძლება „მეგობრული სკოლის“ ან „მეგობრული კლასის“ სახელი ვუწოდოთ, რაშიც ყველაზე მეტი აქცენტი პარიტეტულ საფუძვლებზე თანამშრომლობით მონაწილეობაზე კეთდება და უმთვრესი მოთანამშრომლე პირი არის მშობელი, რომელიც თავად გახლავთ საუკეთესო „გზამკვლევი“ აღზრდის პროცესში.

მეგობრული სკოლა გულისხმობს უსაფრთხო და ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომ განათლებას, რომელიც სკოლის, ოჯახის და თემის ჩართულობის მაღალი ხარისხით მიიღწევა.

ცხადია მას მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი და შესაბამისი ამოცანები გააჩნია:

- ▶ ბავშვის კომპლექსური და მრავალმხრივი განვითარება;
- ▶ ბავშვის, აქტიური საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ▶ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული და მსოფლიო/გლობალური კონტექსტით გამყარებული აქტიური მოქალაქის აღზრდა;
- ▶ ბავშვისთვის ხარისხიანი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და მისი ეტაპობრივი განვითარება;

- ▶ სწავლაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა პრაქტიკულად, ყველა ტიპის სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი და ყველანაირი შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

რაც შეეხება დაინტერესებულ მხარეებს, ეს სპექტრი მრავალფეროვანია და ცვალებადი:

მეგობრული სკოლის მართვაში, ინდივიდუალურად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება და თემი.

- ▶ ოჯახის როლი - ოჯახი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი პირდაპირი თუ ირიბი გზით მონაწილეობს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ▶ სკოლის როლი - ვლინდება მშობლის და მოსწავლის ერთობლივი ინტერესების დაკმაყოფილებასა და დაცვაში.
- ▶ მასწავლებლის როლი - იკვეთება ხარისხიან სწავლებაში, ასევე პირდაპირი მინიშნებაა და ვალდებულებაც კი, რომ მასწავლებელი პიროვნულად მეგობრის როლს ასრულებდეს მოსწავლისთვის.

ზემოთ აღნიშნული პლატფორმა ეყრდნობა შემდეგ კონცეპტუალურ საფუძველს

- ▶ მეგობრობა უმთავრესი პლაცდარმია ნდობის, თანადგომის, ღია და ჯანსაღი ლიბერალური ურთიერთობებისა სკოლაში. მეგობრობას მეორე, პროფესიული გაგებაც აქვს. იგი გულისხმობს თანამშრომლობას ადგილობრივ თემებთან და მშობლებთან და მიზნად ისახავს, სათემო და საოჯახო ჩართულობის ბარიერის შემცირებას. იმგვარი სკოლის ღირებულება და მდგრადობა ძალიან დიდია, სადაც მშობელი უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა, არა მხოლოდ დეიურე, არამედ დეფაქტო და ამის ყველა მექანიზმია ამუშავებული.



## დასკვნა

ილია ჭავჭავაძე თავგამოდებით იბრძოდა მთელი განათლების სისტემის, განსაკუთრებით კი დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოებისა და ცოდნის რაც შეიძლება უფრო ფართო მასებში გავრცელებისათვის და აღზრდა-განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების მხოლოდ კრიტიკით არ კმაყოფილდებოდა. იგი სწორ, დემოკრატიულ, მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე დაყრდნობით არკვევდა აღზრდა-განათლების უმთავრეს პრობლემას.

ის არ კმაყოფილდებოდა ადამიანის ცალმხრივი განვითარებით და მხარს უჭერდა ჰარმონიული აღზრდის იდეას. მისი აზრით, სკოლაში ადამიანი უნდა იზრდებოდეს გონებით, მნე-ხასიათით, სულით და ხორციით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ბავშვს უნდა შეუძუმავედეს სკოლაში დაკვირვების, მთავარის დანახვისა და განსჯის, აზროვნების უნარი.

ილია ავითარებდა სავსებით სწორ, პროგრესულ პედაგოგიკურ შეხედულებას, - სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, როგორც საჭიროება იმ ხალხისა, რომელსაც ემსახურებოდა სკოლა, ისე ბავშვთა ასაკი და განვითარების დონეც.

მას სწავლებისა და აღზრდის შერწყმის გარეშე დაუშვებლად მიაჩნდა სასკოლო მუშაობა. ილია გადაჭრით მოითხოვდა სწავლებისა და აღზრდის ორგანულად შეერთებას, სწავლებისათვის აღმზრდელიობითი ხასიათის მინიჭებას და მწეობრივ აღზრდას აღზრდა-განათლების საერთო სისტემაში ცენტრალურ ადგილს უთმობდა.

მოზარდი თაობის აღზრდის არსში ილია გულისხმობდა სამშობლო ქვეყნისა და ხალხისადმი სიყვარულის ჩანერგვას, პატიოსნებისა და სიმართლის, თავმდაბლობისა და საზოგადოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძობის განვითარებას.

ილია ზოგადად, და სასკოლო განათლებაში, მოზარდის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მშობელს და აღზრდის უმთავრეს და გადამწყვეტ ძალად მშობლების მორალური სახე, მათი პირადი მაგალითი მიაჩნდა.

## **ფსიქო-სოციალური განვითარება ადრეულ მოზარდობასა და მოზარდობაში**

ერიკ ერიკსონი ცნობილი დანიელ-გერმანელ-ამერიკელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი იყო, რომელმაც შექმნა თეორია ადამიანის ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპების შესახებ. მან ცხოვრების ციკლის რვა სტადია გამოყო, რომელსაც ადამიანი გადის ცხოვრების მანძილზე. ყოველ ეტაპზე ადამიანის წინ დგას ახალი გამოწვევები და ახალი ამოცანები, კრიზისები და კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი კონფლიქტი არ ამოიწურება ბოლომდე, აუცილებელია ინდივიდმა საკმარისად გადაჭრას თითოეული მათგანი, რათა წარმატებით გაუმკლავდეს შემდგომი სტადიების კონფლიქტებს. თუ ეტაპი წარმატებით არ შესრულდა, მაშინ შესაძლებელია წინა ეტაპზე გადაუწყვეტელი პრობლემები მომავალში ხელახლა დადგეს ადამიანის ცხოვრების წინაშეერიკ ერიკსონის მიერ შემოთავაზებული განვითარების თანმიმდევრული სტადიები, ფოკუსირდება საკუთარ თავსა და სხვებზე ინდივიდის ორიენტაციაზე. სტადიები მოიცავს პიროვნების განვითარების სქესობრივ და სოციალურ ასპექტებს, და ინდივიდისა და სოციალური გარემოს ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილ სოციალურ კონფლიქტებს.

ჩვენ შევხებით ერიკსონის მხოლოდ რამდენიმე სტადიას, კრიზისს, რომელიც ადრეული მოზარდობის პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

## **კოგნიტიური განვითარების წინააღმდეგ (6-12წ)**

ამ ეტაპისთვის ბავშვები უფრო შეგნებული ხდებიან, უფრო მეტად აცნობიერებენ სერიოზულ და აბსტრაქტულ საკითხებს. შეუძლიათ იზრომონ ბევრი, ბეჭითად, იმისთვის, რომ დაიმსახურონ პატივისცემა და იმისთვის, რომ გააკეთონ საკუთარი საქმე კარგად და სწორად. მათ უკვე შეუძლიათ გაინაწილონ, იმუშაონ ერთად და ძირითადი გუნდური მუშაობის პრინციპები დააკმაყოფილონ. ამ პერიოდისთვის იკვებენ დროის და სივრცის კონცეფციებს, არიან უფრო ლოგიკური ამროვნებაშიც და ქცევებშიც და უფრო პრაქტიკულები ამოცანების შესრულებისას. უკეთ ესმით მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის. სწავლობენ კომპლექსურ უნარ-ჩვევებს: წერას, კითხვას. უყალიბდებთ გარკვეული მორალური ღირებულებები.

თუკი ბავშვებს ექნებათ წახალისება კარგი საქციელის ჩადენისას, გარკვეული უნარ-ჩვევების შეძენისას და გაუმჯობესებისას, მაშინ მათი მოტივაცია

გაიზრდება და ისინი უფრო პროდუქტიულები იქნებიან, უფრო ბეჭითად და მეტ დროს დაუთმობენ იმ საქმიანობას, რაც კარგად გამოსდით. ამ ეტაპზე ჯილდოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბავშვებისთვის ასაკის ამ დიაპაზონში ამ დროისთვის ვითარდება სივრცული აღქმები, ეცნობიან ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, ავითარებენ იმ შესაძლებლობებს რაც უკეთ გამოსდით. ხოლო თუ მოხდება მათი ხედვის არეალის შემღვდვა, არ ექნებათ საშუალება გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს და სახეობებს, მათი მოტივაცია ქვეითდება, თვითშეფასება კი მცირდება. ასეთი ადამიანები ღუნე ცხოვრების სტილს ირჩევენ, ამიტომ აუცილებელია ბავშვის ინტერესების სფეროს განვითარება და ხელშეწყობა.

## **ჯგოიქნსურობა - როქების აღწვის წინააღმდეგ (12-18წწ)**

ამ ასაკისთვის ბავშვებში იზრდება იმის განცდა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი და ფასულია სხვების აზრი მათ შესახებ. ამ ასაკში ყალიბდება სექსუალური იდენტურობა, რომელიც მოიცავს სექსუალურ ორიენტაციას. ამ ასაკში მოზარდები ხშირად განიცდიან იმედგაცრუებას, აქვთ ერთმანეთში არეული გრძნობების და ემოციების ნაზავი. ამ პერიოდისთვის, ზოგ ბავშვს განსაკუთრებით უყვარს მანქანები, მუსიკა, ზოგი სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებში ერთიანდება. ერიკსონის ხედვით ამ პერიოდისთვის მოზარდების უმეტესობას უნდება საკუთარი იდენტურობის განცდა. თუკი მოზარდმა ვერ შეძლო საკუთარი იდენტურობის განსაზღვრა, უვითარდება იდენტურობის კრიზისი.

ცხოვრების ამ ეტაპზე ხდება დიდი ბოლოგიური და ფიზიკური ძვრები ადამიანის ორგანიზმში, ხდება სქესობრივი მომწიფება და ეს ეტაპი ემსგავსება ხიდს ბავშვობიდან დიდობისკენ.

ერიკსონი მიიჩნევდა, რომ ამ პერიოდში მოზარდსა აქვს საკმარისი დრო, რათა მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების კომბინირება და გააცნობიეროს ვინ არის და რა უნდა. ამ დროისთვის ადამიანი თვითონ ირჩევს საკუთარ იდეოლოგიას და ამიტომ ხშირად ხდება კონფლიქტი მოზარდებს და დიდებს შორის.

ერიკსონი აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ ადამიანებში იდენტურობის პერიოდი გაცილებით იზრდება და არ შემოიფარგლება 12-18 წლით.

## ბავშვები და უფროსები

მნიშვნელოვანია მშობლებმა და მასწავლებლებმა ვალიაროთ, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც ერთად ვქმნით გარემოს ბავშვებისთვის, გარემოს, რომელიც ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე იქნება დამყარებული და ბავშვს მისცემს სიმშვიდის, თვითგამოხატვისა და რეალიზების საშუალებას. არ მოსთხოვს ყველა კითხვაზე სწორ და ზუსტ პასუხებს, მისცემს ძიების, აღმოჩენებისა და საკუთარი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას, საკუთარი პოზიციის შიშის გარეშე დაფიქსირებისა და არჩევანის გაკეთების საშუალებას.

ყოველივე ეს ჩვენზეა დამოკიდებული მასწავლებლებო და მშობლებო, დაფიქრება და ანალიზი გვმართებს, რადგან გზის აღმოჩენა და მიზნის დასახვა ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენივე საქციელით. მაგალითი გადამდებია, დავფიქრდეთ, როგორი უნდა იყოს მაგალითი, რომელსაც ჩვენი ბავშვები ცხოვრების გზად აირჩევენ.

## ბავშვზე ძალადობის პრევენციის სტრატეგია

ცალკე აღებული ვერც ერთი ფაქტორი ვერ ხსნის, რატომ იქცევა ერთი ადამიანი აგრესიულად, მეორე კი - არა; რატომ ხდება ერთგან ძალადობის მეტი შემთხვევა, ვიდრე სხვაგან. ოჯახში, თემში, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეში მრავალი ფაქტორი არსებობს, რომელთა ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ბავშვზე ძალადობის პროვოცირება მოახდინოს, ან პირიქით, - ძალადობის საფრთხე შეამციროს.

ოჯახში და სკოლაშიც ბავშვზე ძალადობის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია. შესაბამისად, ძალადობის პრევენციული სტრატეგიებიც განსხვავდება. არსებობს ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ბრუნვის უნივერსალური სტრატეგიები, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყანაში, წლების განმავლობაში, დაგროვილი გამოცდილება და მრავალი მეცნიერული შრომა.

პრევენციის სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ აღმოჩენასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს, რაც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ცალკეული ბავშვისა და ოჯახისათვის. თუმცა, მხოლოდ ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ვერ შეამცირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევათა რიცხვს. ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ

დასახულ ღონისძიებათა მაქსიმალური ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ნებისმიერი სტრატეგია, განსაკუთრებით - პრევენციული სტრატეგიები, აუცილებლად ითვალისწინებდეს ბავშვზე ძალადობის გამომწვევ რისკსა და ძალადობისაგან დამცავ ფაქტორებს და მიმართული იყოს რისკის შემცირებისა და დამცავი ფაქტორების გაძლიერებისკენ.


## ბავშვზე ძალადობის რისკ-ფაქტორებისა და დამცავი ფაქტორების სხილი

რისკ-ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვზე ძალადობის გავრცელებას, შეიძლება დაიყოს ინდივიდუალურ/პიროვნულ ურთიერთობათა, საზოგადოებრივ/თემში არსებულ და სოციალურ რისკ-ფაქტორებად.

	რისკ ფაქტორები	დამცავი ფაქტორები
ინდივიდუალური (ბავშვი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას</li> <li>• დაიბადა დღენაკლული</li> <li>• არასასურველი შვილი</li> <li>• ემოციური/ქცევითი სირთულეები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დადებითი ემოციური ურთიერთობები</li> <li>• მზრუნველი და ემოციურად მხარდაჭერი ოჯახი</li> <li>• სამაგალითო უფროსები</li> </ul>
ინდივიდუალური (მშობელი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშობლობის მწირი უნარი</li> <li>• ბავშვის განვითარების არცოდნა</li> <li>• ძალადობის გამოცდილება</li> <li>• ტოქსიკომანი</li> <li>• ფსიქიკური დაავადებები</li> <li>• არარეალური წარმოდგენა ბავშვის ქცევაზე</li> <li>• ახალგაზრდა მშობლები</li> <li>• დეპრესია, დაბალი თვითშეფასება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშობლობის კარგი უნარი</li> <li>• დადებითი ემოციური ურთიერთობა</li> <li>• ბავშვის გაჩენისთანავე გვერდში მდგომი ახლობელი</li> <li>• განათლების მაღალი დონე</li> <li>• ბავშვის განვითარების ცოდნა</li> </ul>
ოჯახი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვის/მშობლის ურთიერთობა</li> <li>• მშობლების სტრესი</li> <li>• ოჯახური ძალადობა</li> <li>• სოციალური იზოლაცია</li> <li>• მართლმწიფე მშობელი</li> <li>• უცხო ადამიანი ოჯახში</li> <li>• სიღარიბე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მზრუნველი და ემოციურად მხარდაჭერი ოჯახი, დები და ძმები</li> <li>• სამაგალითო უფროსები</li> <li>• ოჯახური ჰარმონია</li> <li>• სოციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პირისგან</li> </ul>

	რისკ ფაქტორები	დამცავი ფაქტორები
თემი	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმუშევრობა/ფინანსური პრობლემები</li> <li>• სიღარიბე</li> <li>• ძალადობის მიმართ ტოლერანტობა</li> <li>• კრიმინალური გარემო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მჭიდრო კავშირი, სამეზობლო ურთიერთობა</li> <li>• ხელმისაწვდომი პირველადი ჯანდაცვა, ხარისხიანი განათლება, დასაქმების სერვისები</li> <li>• მზრუნველი და ემოციურად მხარდამჭერი მეგობრები, მასწავლებლები, მეზობლები</li> </ul>
კულტურულ-სოციალური გარემო	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძალადობის მისაღები დონე</li> <li>• ფიზიკური ძალადობა მედიაში</li> <li>• დასჯის გამოყენების პოლიტიკა</li> <li>• ეროვნული/სახელმწიფო/ადგილობრივ ოჯახის დონეზე</li> <li>• მკაცრი გენდერული როლები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეგობრების და ახლობლების სოციალური ქსელი</li> <li>• ეროვნულ/სახელმწიფო/ადგილობრივ ოჯახის დონეზე მხარდამჭერი სოციალური პოლიტიკა</li> <li>• ბავშვთა უფლებების პატივისცემა</li> </ul>

# ბავშვები ქალაქობის პრევენციის სავიღო გონი



## ბავშვზე ძალადობის პრევენციის სამი დონე

პრობლემის ეფექტური და ჰუმანური გადაწყვეტის გზა ძალადობის პრევენციაა. მოზარდებთან, კონტროლის გაძლიერების მაგივრად, მეტი კონტაქტია საჭირო. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება აუცილებლად უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს სამყაროს მოზარდი, რომელმაც პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად თანატოლზე ძალადობა არჩია.

ბავშვზე ძალადობის პრევენციული ღონისძიებები 3 სხვადასხვა დონეზე ხორციელდება: **საყოველთაო, მიზნობრივი და ინდივიდუალური.**

- ▶ **პირველი დონე - საყოველთაო პრევენცია** გათვლილია საზოგადოების ფართო სპექტრზე;
- ▶ **მეორე დონე - მიზნობრივი პრევენცია** მიმართულია საზოგადოების იმ ჯგუფისკენ, რომელშიც არსებობს ბავშვზე ძალადობის ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორი;
- ▶ **მესამე დონე - ინდივიდუალური პრევენცია** მიმართულია იმ ოჯახებისკენ ან სხვა ადგილებისკენ, სადაც ბავშვზე ძალადობა ხდება. მისი მიზანია ძალადობის განმეორებისგან ბავშვების დაცვა.

## I დონე - საყოველთაო პრევენცია

საყოველთაო პრევენციის ძირითადი მიზნებია:

- ▶ მშობელთა/მზრუნველთა ცოდნის გაფართოება, რათა მათ იცოდნენ, როგორ მიმდინარეობს ბავშვის განვითარების პროცესი, განვითარების ამა თუ იმ საფეხურს, როგორი ქცევა თუ მდგომარეობა შეესაბამება;
- ▶ მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის გაძლიერება;
- ▶ მშობლებისთვის, რომელთა ბავშვები განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ, სტრესთან გამკლავების სწავლება;
- ▶ მშობელთა ცოდნის ამაღლება ოჯახის მართვა-გაძღოლის საკითხებში;
- ▶ სოციალური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის.

## II დონე - მიზნობრივი პრევენცია

მიზნობრივი პრევენციის ძირითადი მიზნებია:

- ▶ მშობელთა ცოდნის გაზრდა, რათა მათ გააცნობიერონ, როგორ გაგლენას ახდენს მათი ბავშვობისდროინდელი გამოცდილება მათ ქცევაზე უკვე მშობლის როლში;



- ▶ მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მოწესრიგება;
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, მშობლების დაკავშირება თემში არსებულ იმ სამსახურებთან, რომელიც მიმართულია ოჯახის, მშობლის და ბავშვის სპეციფიკური პრობლემების მოგვარებაზე;
- ▶ უნარშემდგომი ბავშვის მშობელთა დახმარება სტრესთან გასამკლავებლად;
- ▶ სოციალური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის.

ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები მოიცავს: ბავშვის აღზრდის/სწავლების პროგრამებს, რომლებიც ხელმისაწვდომია რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისათვის; პროგრამებს, რომლებიც ასწავლიან მშობლებს თემის რესურსების გამოყენებას; პროგრამებს, რომლებიც ახალგაზრდა მშობლებს მიიწვევს ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ბავშვის განვითარება და მოვლა, და სხვა. აუცილებელია, არსებობდეს სამსახურები, სადაც დახმარებას გაუწევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის, დეპრესიის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის პრობლემების მქონე მშობლებს და სხვა.

### III დონე - ინდივიდუალური პრევენცია


ინდივიდუალური პრევენციის ძირითადი მიზნებია:

- ▶ ბავშვზე ძალადობისა და უგულვებლყოფის განმეორების შემცირება ბავშვისთვის საცხოვრებელი გარემოს შეცვლით ან მოძალადისათვის თავისუფლების აღკვეთით;
- ▶ მშობელთა ნარკო და ალკოჰოლ დამოკიდებულების შემცირება;
- ▶ ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ▶ ძალადობით მიღებული ზიანის შემცირება;
- ▶ ოჯახის დაკავშირება ოჯახის დამცავ ჯგუფებთან და სხვა დამცავ სისტემებთან;
- ▶ მშობლების კავშირის გაძლიერება თემში არსებულ დამხმარე სამსახურებთან.

პროფილაქტიკის მიზნით ზრდასრულებმა უნდა იზრუნონ ისეთი გარემოს შექმნაზე, სადაც ძალადობა ვერ განხორციელდება, დაიცვან ბავშვები სტრესისგან და ხელი შეუწყონ ორგანიზმის დამცავი ძალების განმტკიცებას. იმისთვის, რომ პროფილაქტიკა განხორციელდეს, უნდა ვალიართ პრობლემის არსებობა, განვსაზღვროთ იგი, შევიშუშაოთ და განვახორციელოთ სამუშაო გეგმა.

# ჩემი ამბავი

(ჩანაწერი ამბავი ჩვენ ბარშვამო)



# ჩვენი ნაბეჭდი #1



## ჩემი აბაპი N 1

მე ვარ 13 წლის გოგონას დედა. ვიცი, რომ ეს ასაკი მნიშვნელოვანია ჩემი შვილის ემოციური და მენტალური განვითარებისათვის, - იზრდება ემოციები და იმატებს საკუთარი თავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და შეფასება. ბევრი ლიტერატურა წავიკითხე, მეგობარ ფსიქოლოგთანაც ხშირად მაქვს შეკითხვები და ვიცი, რომ ჩემს გოგონას ახლა ყველაზე მეტად სჭირდება განზონანსორებული, მშვიდი გარემო, მიუხედავად მისი ემოციურობისა. ვფიქრობდი, რომ სკოლაშიც იგივე, უსაფრთხო გარემო იყო. ასე ვთვლიდი, მაგრამ გარემოებებმა მაიძულა არსებული პრობლემები გამესაჯაროებინა. ჩემს გოგონას ძალიან არ მოსწონს გადაწეული თმები, რადგან თვლის, რომ არ აქვს ლამაზი შუბლი და ყურები, ამავე დროს აკნეს პრობლემაც აქვს და გაშლილ და ჩამოშლილ თმებში თავს უფრო კომფორტულად გრძნობს. ამას მასწავლებელსაც დაბეჭითებით უხსნის და თხოვს რომ გაუგოს, მიუხედავად ამისა მასწავლებელი და დამრიგებელი, ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ, აიძულებენ შეიკრას და გადაიწიოს თმები. მათივე თქმით, ჩამოშლილი თმები მათ გაკვეთილის წარმართვაში უშლით ხელს.

როგორ მოვიქცეთ? რას გვირჩევთ? დირს კი 13 წლის მოზარდის ემოციური დაძაბულობა გადაწეული თმების გამო?

### რეკომენდაცია:

გარდატეხის ასაკი - ეს ტერმინი შფოთვისა და დაძაბულობას იწვევს მშობლებსა და მასწავლებლებში ამ დროს ბავშვი რადიკალურად იცვლება, მშობლები და მასწავლებლები ვერ ცნობენ ცოტა ხნის წინ ასე ყველასათვის საყვარელ ბავშვს.

რა მოხდა ისეთი, რომ ახლა ბავშვი ყველას წინააღმდეგაა, არაფერი მოსწონს, აღარ აინტერესებს ის, რაც ადრე იზიდავდა, საშინლად გაღიზიანებულია და ყველაფერს მწვავედ აღიქვამს? დიახ, ეს გარდატეხის ასაკია, რომელიც დისკომფორტია არა მხოლოდ გარშემო მყოფებისთვის, არამედ თვითონ ბავშვისთვისაც. ეს საკმაოდ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვის და მომავალი პიროვნების ცხოვრებაში რამდენიმე ეტაპად იყოფა: 11-13 წელი წინაპუბერტატის პერიოდი, 13-15 წელი - ადრეული პუბერტატის პერიოდი. როგორ გაივლის ამ პერიოდს ბავშვი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდი-

ლებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზე და მოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

მოზარდის ემოციური სფერო და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რადიკალურად იცვლება მის ფიზიოლოგიურ და სხეულებრივ ცვლილებებთან ერთად. უფროსები, გარდატეხის ასაკის ბავშვთან ურთიერთობას რთულ საქმედ მიიჩნევენ, რადგან მისი ქცევა მოულოდნელი, წინააღმდეგობრივი და იმპულსურია. მოზარდის ფსიქოემოციური სფეროს განსაკუთრებულობა სწორედ მის ამბივალენტობაში, ანუ საპირისპირო/წინააღმდეგობრივი ამრეების, გრძობების და ქცევების თანაარსებობაშია. თვითონ მოზარდისთვისაც დისკომფორტია ასეთი წინააღმდეგობრიობა, უჭირს საკუთარი თავის გაგება, ამიტომ ხშირად უკმაყოფილოა თავის თავითაც და გარშემომყოფებითაც.

ჩვენი გოგონას შემთხვევაშიც, გარდატეხის ასაკი განვითარების კრიზისული პერიოდია, რადგან თვისებრივად შეიცვალა ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება. ეს პერიოდი გარდატეხა ბავშვობიდან მოზრდილობაში და კრიზისული სწორედ იმიტომ, რომ ბავშვი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც მოზრდილი არაა.

სწრაფი სხეულებრივი ცვლილებების გამო, მოზარდი დროულად ვერ ეგუება და იღებს თავის შეცვლილ გარეგნობას. ჩვენი ქეისის გოგონასთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება და ყველა დეტალს აქცევს ყურადღებას. გარეგნობაზე შფოთვა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება მოზარდის ემოციური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შესაბამისად, ნებისმიერი, თუნდაც უწყინარი რეპლიკა მათი გარეგნობის შესახებ, ძალიან მძიმედ აღიქმება და განიცდება.

თავისი ეგოცენტრულობის გამო, გოგონა თვლის, რომ ის თითქოს მიკროსკოპის ქვეშაა, გარშემომყოფები მას კრიტიკულად უყურებენ და აღიქვამენ, ამიტომ ხშირად თავს უხერხულად გრძობს. მას ჰგონია, რომ ყველა მისით არის დაინტერესებული. სიმორცხვე და მოუქნელობა გარდატეხის ასაკის მოზარდისთვის ხშირი მახასიათებლებია, რის დაფარვასა და კომპენსაციასაც ის სხვადასხვა, ზოგჯერ არაადეკვატური გზით ცდილობს.

გარდატეხის ასაკის ფსიქო-ემოციური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- ▶ უხერხულობის განცდა და სიმორცხვე
- ▶ საკუთარი თავით და გარშემომყოფებით უკმაყოფილება

- ▶ გრძნობებისა და აზრების ამბივალენტობა
- ▶ იმპულსურობა
- ▶ უხალისობა და უგუნებობა
- ▶ სწრაფი აგზნება და ემოციური აფეთქებები
- ▶ სტრესი
- ▶ სოციალური განვითარება

საუკეთესო გამოსავალია, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებს, გააანალიზებს სიტუაციას, არ გაამახვილებს ყურადღებას გოგონას ჩამოშლილ თმებზე, არ მისცემს შენიშვნას ბავშვებთან ერთად და მიიღებს შესაბამის გადანწყვეტილებებს არა საკუთარი „კომფორტის“, არამედ მოზარდის ინტერესების გათვალისწინებით.



# ჩვენი სამსახური #2



## ჩემი აბაჟი N 2

მე ვარ გიოს დედა. გიო 11 კლასშია. მეზობლები, ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები ყველა უკლებლივ აღნიშნავს, რომ ზრდილობიანი და გულისხმიერი ბიჭია. მიუხედავად ამისა, კვირაში ერთხელ, სკოლაში მიბარებენ ფიზიკის მასწავლებელთან მისი მუდმივი „უზრდელი“ და „ცინიკური“ დამოკიდებულების გამო. დირექტორთან და ფიზიკის მასწავლებელთან საუბრის დროს, გიოს ვერ ვცნობ: იცვლება, აგრესიული ხდება, თავს იცავს მაშინაც, როცა არავინ ერჩის; არც უარზეა და არც ადასტურებს საქციელს; დირექციამ გადაწყვეტილება მიიღო, გადაიყვანონ პარალელ კლასში, სადაც სხვა მასწავლებელი ასწავლის ფიზიკას, მაგრამ თავად გიო წინააღმდეგია, - არ უნდა კლასელებთან დაშორება და დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

### რეკომენდაცია:

ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, - პიროვნების დისპარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი - მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროს შეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება.

გარდამავალ ასაკში მოზარდის მთელი ორგანიზმი განიცდის მკვეთრ ცვლილებას: ანატომიურ-ფიზიოლოგიურს, სულიერს, ფსიქოლოგიურსა და მწეობრივს. გარდამავალი ასაკის ბავშვების სწავლება და აღზრდა ბევრ სირთულესა და სიძნელესთან არის დაკავშირებული. ბავშვის მოწინააღმდეგეობაში გადასვლის პროცესი მეტად რთული და მრავალფეროვანია, რადგან იგი დაკავშირებულია უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევასთან, ცხოვრებისა და ქცევის პირობების შეცვლასთან.

უფროსი მოზარდი ინტელექტუალურად „აქტიურია“. ადრეული მოზარდობისთვის დამახასიათებელ კრიტიკულობას ცვლის მომწიფებული მსჯელობა. ის ცდილობს თვითონ გასცეს პასუხი მნიშვნელოვან კითხვებს, ოცნებობს



გრანდიოზული მიზნების განხორციელებაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია დავებმართოთ მას დაუკავშიროს ოცნება რეალობას. მას სიამოვნებს ლოგიკური აზროვნება, არგუმენტების მოყვანა.

უფროს მოზარდს შეიძლება ჰქონდეს განცდა, რომ „ყველაფერი იცის“. ის ადვილად ექცევა თანატოლების, წაკითხული წიგნის, ტელევიზიით ნანახის გავლენის ქვეშ.

ჩვენს შემთხვევაში, გიოს მასწავლებელი ვალდებულია გაითვალისწინოს მოზარდის ინდივიდუალიზმი, დააკვირდეს კომუნიკაციის ფორმებს, მოუსმინოს მიზეზებს და გაანალიზოს შედეგები. აუხსნას მშობლებს, ამ შემთხვევაში დედას, რომ გიოს „უზრდელობა“ მისი უღირსობით სულაც არ არის განპირობებული. მან და მშობელმაც უნდა გაითვალისწინონ ბავშვის ინდივიდუალიზმი და ერთად დაგეგმონ სწორი და ეფექტური კომუნიკაციის შესაბამისი გზები. გართულების შემთხვევაში კი ჩართონ დირექცია.



# ჩვენი ნაბეჭდი #3



## ჩემი აბაჯი N3

ვარ მე-10 კლასელი გოგონას დედა. ფაქტი, რომელიც სკოლაში მოხდა გავიგე ჩემი შვილის ერთ-ერთი კლასელის მშობლისგან, თვითონ ჩემმა შვილმა არაფერი მითხრა, რაც გასაგებია თუ გავითვალისწინებთ ბავშვის ასაკს და ფაქტის მნიშვნელობას.

როგორც გავიგე, ერთ-ერთ გაკვეთილზე, რომელსაც ხანშიშესული, ძველი ყაიდის ქალბატონი ატარებს, საკმაოდ ხშირია ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები, თუმცა ბავშვები არაფერს ამბობენ, რადგან ჰგონიათ, რომ ამით უარესად გააღიზიანებენ მასწავლებელს, და თან რცხვინიათ, 16 წლის მოზარდებს იმის აღიარების, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლები არიან. გაკვეთილზე მასწავლებელი ე.წ კარნახით აწერიანებს მე-10 კლასელ ბავშვებს გაკვეთილს, რომელიც თითქმის 30 წუთს გრძელდება, რაც საკმაოდ დამღლეელი, არაეფექტური და უინტერესოა ამ ასაკის მოზარდისთვის.

სწორედ ასეთი გაკვეთილის დროს, ჩემი შვილი და გვერდით მჯდომი თავისი მეგობარი ერთმანეთში ჩუმად საუბრობდნენ, რაც არ გაგრძელებულა 1 წუთზე დიდხანს, მაგრამ ზუსტად ამ დროს დაინახა მასწავლებელმა და ჩემს გოგონას საკმაოდ უხეშად მიმართა მასთან მისულისყო. ჩემი შვილიც მივიდა. მასწავლებელმა მასთან უფრო ახლოს მისვლა მოსთხოვა. ჩემი შვილიც მიუახლოვდა. ამ დროს სწვდა თმებში და მთელი კლასის წინაშე დაამცირა, თმების მოქაჩვაც არ იკმარა, ყურში მოკიდა ხელი და საკმაოდ ძლიერად უჭერდა რამდენიმე წამის განმავლობაში და პარალელურად სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა: მთელი კლასის წინაშე უზრდელი და თავხედი ეძახა.

ჩემი შვილი საშინლად ატირებული გამოვარდნილა ოთახიდან და რამდენიმე მეგობარიც გამოჰყოლია. სწორედ ერთ-ერთის მშობლისგან გავიგე ეს ამბავი მეც. როგორც შემდეგ გავარკვიე, ეს ქალბატონი საკმაოდ ხშირად იყენებს გაკვეთილის პროცესში ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. სკოლის დირექციისთვის ცნობილია მასწავლებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და „სწავლის მეთოდი“, თუმცა აქამდე სათანადო რეაგირება არ ყოფილა.

### რეკომენდაცია:

ფიზიკური ძალადობა - ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანე-

ბას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის განვნა, წამოთაქება, ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით.

ბავშვზე ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ძალადობა ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, განვითარებასა და სოციალიზაციას, ზოგჯერ კი საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ძალადობის მყისიერ შედეგებს მიეკუთვნება:

- ▶ ფიზიკური დაზიანებები – მოტეხილობა, ჭრილობა, დამწვრობა, სისხლჩაქცევები, ტვინის შერყევა და სხვა;
- ▶ მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემები – ჭარბი აგრესია, შიშები, დეპრესიული მდგომარეობა, საკუთარი უმწეობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა;
- ▶ არსებობს მტკიცებულებები, რომ უფროსებში გამოვლენილი მრავალი დაავადება – გულის იშემიური დაავადებები, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ქრონიკული დაავადებები, სიმსივნე და სხვა – ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთანაა დაკავშირებული.

ბავშვებს, რომლებიც ძალადობას განიცდიან, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დარღვევები აღენიშნებათ.

ჩვენი ქეისის შემთხვევაში მასწავლებელი ფიზიკურ ძალადობას ანხორციელებს, ბავშვების წინაშე და ამცირებს გოგონას. მასწავლებლის მოქმედება დასჯადია. გოგონას მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა აღნიშნული წერილობით უნდა აცნობოს დირექციას და მოითხოვოს სწრაფი რეაგირება. შესაბამისად საქმე გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს და ის იმსჯელებს მასზე.

## ჩემი აბაჯი N 4

ვარ მე-11 კლასელი ბიჭის დედა. უნდა ითქვას რომ ჩემი შვილი განსაკუთრებული მოსწრებით არ გამოირჩევა, თუმცა დამაკმაყოფილებელი ნიშნების პრობლემა არასდროს გვექონია. რაც მთავარია, საგაკვეთილო პროცესის დროს არ არის ზედმეტად აქტიური და ხელს არ უშლის მასწავლებელს. ყოველ შემთხვევაში აქამდე მსგავსი ფაქტის გამო სკოლაში ერთხელაც არ დავუბარებია დამრიგებელს.

ერთ დღეს, ჩემი შვილი, საკმაოდ განერვიულებული და აგრესიული დაბრუნდა სახლში. მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა ისტორიის მასწავლებელმა (მასწავლებელი კაცია) ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა, მთელი კლასის წინაშე. მაშინვე სკოლაში წავედი, რომ ზუსტად გამეგო რა მოხდა და შესაბამისი ზომები მიმეღო. ეს ამბავი ხდება დეკემბერში. სკოლის არდადეგებამდე დარჩენილი იყო ბოლო კვირა. შესაბამისად, ყველამ ვიცით, რომ ამ დროს, განსაკუთრებულად აფიტირებულები არიან ბავშვებიც და მათ შორის ჩემი შვილიც და ეს გასაკვირი არ არის. როგორც გავიგე, გაკვეთილების დაწყებამდე, ბიჭებს, უყდიათ მცირე ზომის საახალწლო ე.წ. ასაფეთქებლები, რომელიც შესვენების დროს სკოლის გარეთ გადაუგდიათ და აუფეთქებიათ. არც სკოლის ეზოში და არც ხალხმრავალ ადგილას ეს ასაფეთქებელი არ მოხვედრილა, - ეზოდან გარეთ გადაუგდიათ ორჯერ თუ სამჯერ და ბარის დარეკვის შემდეგ საკლასო ოთახში შესულან. როგორც კი მასწავლებელი შევიდა, ჩემს შვილთან მისულა და უხეშად უთქვამს ჭიბები ამოეტრიალებინა. ჩემი შვილი გაოგნებული იყო, რატომ უნდა ამოეტრიალებინა ჭიბები მთელი კლასის წინაშე და ეჩვენებინა პირადი ნივთები. მასწავლებელი არ მოეშვა, მერხზე დარტყა მუშტი და მოთხოვნა ხმამაღალი ტონით გაუმეორა. ჩემმა შვილმა ამოიღო ყველა ნივთი და მათ შორის ე.წ. ასაფეთქებლებიც. როგორც კი ეს მასწავლებელმა დაინახა მთელი ძალით სილა გააწნა სახეში. ჩემი შვილიც და მთელი კლასი გაოგნებულები უყურებდნენ. ვერც ერთმა ხმა ვერ ამოიღო შოკისგან. როგორც ჩანს, დასვენების დროს, ამ მასწავლებელს დაუნახავს, როგორ ისროდა ჩემი შვილი ასაფეთქებელს სკოლის გარეთ და სწორედ ამ მეთოდით გადაწყვიტა ე.წ. ასაფეთქებლების „ჩამორთმევა“. შესაბამისი საჩივარი დავწერე სკოლაში, თუმცა ეს კაცი დღემდე აგრძელებს მასწავლებლად მუშაობას.

### რეკომენდაცია:

ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება გარე ფაქტორებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი სოციალურ გარემოში

იძენს. პიროვნული თავისებურებების მიუხედავად, ბავშვს შეუძლია ნებისმიერი ქცევის დასწავლა, თუ მას სათანადო განმტკიცება მოჰყვება. სწორედ ამ აზრს იზიარებდა ამერიკელი ფსიქოლოგი, ბ. ფ. სკინერი. თუმცა კანადელი ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურა ამბობდა: “ ქცევის ასხნა უფრო არასრულია, ვიდრე არაზუსტი”. ბანდურა ასევე მიუთითებს, რომ ფსიქოლინამიკამ უარყო ადამიანის ემოციების სირთულე და მრავალფეროვნება. მოტივებს და სწრაფვებს შეუძლიათ უკვე მომხდარის ასხნა, ხოლო იმის წინასწარმეტყველება, თუ რას იზამს ადამიანი, კონკრეტულ სიტუაციაში, – არა .

გარდატეხის ასაკში, როდესაც ძლიერია დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის გაკეთება. ამიტომ ამ პერიოდში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ის ორიენტირები, რის საფუძველზეც მოზარდი იღებს გადაწყვეტილებას, როგორ მოიქცეს. საზოგადოებაში მიღებული მორალური, ეთიკური ღირებულებების გაცნობიერება და შეფასება მსჯელობისა და მორალურ დილემებზე აქტიური ფიქრის საფუძველზე, ამ ასაკში მთელი სიძლიერით იჩენს თავს. მოზარდს აწუხებს შეკითხვები იმის შესახებ, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვანაირად? მოზარდი ვერ იტანს ორმაგ სტანდარტებს, ის გულწრფელია. მისთვის კონკრეტული ქცევის ეთიკური შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მისი პიროვნების იდენტობის მდგრადობისა და განვითარებისთვის.

ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს პროსოციალური ქცევის მაგალითები. რადგანაც მოზარდისთვის მნიშვნელოვანია აღიარება, დამოუკიდებლობა და იდენტობის უნიკალურობა, საზოგადოების მხრიდან მისი მოხალისეობის, ენთუზიამის და სხვაზე ზრუნვის წახალისება სასარგებლო და შედეგიანია. მოზარდი ამით თავისი აღიარებისა და მიკუთვნების მოთხოვნილებას იკმაყოფილებს და იდენტობის გამოცდის მიზნით მცირდება მისი სარისკო ქცევებში ჩართვის ალბათობა.

დამახასიათებელი ნიშნები:


- ▶ გულწრფელობა და ორმაგი სტანდარტის მიუღებლობა
- ▶ საკუთარი და სხვისი ქცევის მოტივების ძიების მოთხოვნილება
- ▶ ეთიკური დილემების მიმართ ინტერესი და მსჯელობა
- ▶ მოხალისეობის და ლიდერობის მოთხოვნილება.

ჩვენს შემთხვევაში, იმპულსურობისკენ მიდრეკილების, ახლის შეცნობის სურვილის, საკუთარი იდენტობის ძიებისა და გამოცდის, თანატოლთა ჯგუფში

აღიარების სურვილის გამო, მოზარდმა რისკის შემცველი ქცევების განხორციელების დიდი ალბათობა გამოამჟღავნა.

მასწავლებელის საქციელის შესახებ აუცილებელია ეცნობოს დირექციას მშობლის/კანონიერი წარმომდგენლის მიერ და საქმე გადაეცეს დისციპლინურ კომიტეტს.

ასევე აუცილებელია შეფასებული იქნას ბიჭის ქმედება, - მოზარდის ქცევა და განემარტოს ბავშვებს. რომ პიროტექნიკა, ე.წ. საახალწლო ასაფეთქებლების სკოლაში შეტანა აკრძალულია და კანონით დასჯადი. თუ ასეთი მუხლი შინაგანაწესში არ აქვთ, იზრუნონ და ცვლილება შეიტანონ სკოლის კანონში.



## ჩემი აბაპი N5

ვარ მე-12 კლასელი გოგონას დედა. ყველას კარგად მოეხსენება რომ ამ ასაკში გოგონები იწყებენ საკუთარი თავის აღქმას, ცდილობენ გამოიყურებოდნენ ლამაზად, არიან საკმაოდ ემოციურები, ყველაფერს აღიქვამენ გაასმაგებულად და სწორედ ამის გამო სჭირდებათ სტაბილური და ადეკვატური გარემო, როგორც სახლში, ასევე სკოლაში, და სკოლაში განსაკუთრებულადაც. ეს კარგად უნდა ესმოდეს ყველა მასწავლებელს თუ დამრიგებელს და მაქსიმალურად უწყობდნენ გარდატეხის ასაკში მყოფ ბავშვებს ხელს. თუმცა, იმ ფაქტმა რაც დღეს სკოლაში მოხდა ჩემი შვილი საშინელ დეპრესიაში ჩააგდო, სკოლაში წასვლაზეც კი უარს ამბობს, არ ფიქრობს მოახლოებულ გამოცდებზე. მიზეზად მათემატიკის გაკვეთილზე მომხდარ ამბავს ასახელებს. როგორც გავიგე, მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის ამავე კლასის დამრიგებელიც, ჩვეულებრივ რეჟიმში ხსნიდა გაკვეთილს. არის ახალი წლის პერიოდი და ბავშვებმა კედელზე გააკეთეს საახალწლო განათებებით ნაძვის ხე, რომელიც გამორთული იყო. ჩემმა შვილმა გადანყვიტა რომ სიურპრიზი გაეკეთებინა მასწავლებლისთვის და გაკვეთილზე აენთოთ ნაძვის ხე. როდესაც შეაერთა და მასწავლებლის რეაქციას დაელოდა მთელ კლასთან ერთად, მასწავლებელი გაემართა კედლისკენ, გამორთო ნაძვის ხე (განათება), ჩემს შვილს თავში ხელი წამოართყა, - საკმაოდ ძლიერად, „მოუწოდა“ მეტი ყურადღებისკენ და გაკვეთილი კი ყოველგვარი პაუზის გარეშე გააგრძელა. ბავშვს ისე რცხვენია საკუთარი მეგობრების, რომ სკოლაშიც კი აღარ მიდის, არც მასწავლებლის და საერთოდ იმ საგნის გახსენებაც კი არ უნდა, რასაც ასწავლის. როცა სასწავლო ნაწილთან და ღირებულებას ვთქვი ეს ფაქტი, უმნიშვნელო ღიმილით მიპასუხეს, რომ ზემოთხსენებული მასწავლებელი ცოტათი მკაცრი და ძველმოდურიყო. სხვა რეაგირება ამ ფაქტს არ მოჰყოლია.


### რეკომენდაცია:

ფიზიკური ძალადობა დაუშვებელია და ისჯება კანონით, ეს ყველა მასწავლებლისთვის სავადებულო წესია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მობარდის მორალური განვითარება და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესი. სწორედ ესაა ხაზგასასმელი მოცემულ ამბავში.

ლოურენს კოლბერგის მიხედვით მორალი განუყოფლადაა დაკავშირებული პიროვნულ ურთიერთობებთან. ჩვენი მორალური რწმენების უმრავლესობა ფორმირდება იმ ადამიანების გავლენით, ვინც ჩვენ გარშემოა. მშობლების-



გან, მეგობრებისგან, მასწავლებლებისგან, ხალხისგან, რომელთაც ტელევიზორსა თუ ინტერნეტში ვხედავთ, - ვიგებთ, რა არის ეთიკური და რა – არა. ჩვენ ან ვიჭერებთ იმას, რისიც მათ სჯერათ, ან, თუ ადამიანი არ მოგვეწონა, აქტიურად უკუვაგდებთ მის შეხედულებებს და საწინააღმდეგო მოსაზრებებს ვიყალიბებთ. გარდა ამისა, მორალი არეგულირებს ჩვენს ურთიერთობას სხვა ადამიანებთან. ჩვენი მორალური განწყობები განსაზღვრავს იმ წესებსა და მოვალეობებს, რომლებსაც ვემორჩილებით სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. ამიტომ მასწავლებლის საქციელი, რომელიც მოზარდზე გარდა ფიზიკური ტკივილისა, ფსიქოლოგიურ და მორალურ ძალადობას ახდენს, გავლენას ახდენს, მისი, როგორც პიროვნების ემოციებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. მასწავლებლის ქმედება შეფასებული უნდა იქნას სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ.



## ჩემი აბაპი N 6

მე-11 კლასის მოსწავლე გოგონას თმა ჰქონდა ლურჯად შეღებილი, რის გამოც ბულინგის მსხვერპლი გახდა მასწავლებლების მხრიდან. კონკრეტულად კი, ინგლისურის მასწავლებელი შეურაცხყოფელი ფრაზებით მიმართავდა გაკვეთილზე კლასის წინაშე : „რას გავხარ“; „სახლში პატრონი არ გყავს, ამხელა გოგოს“, „ამ თმით გაკვეთილზე შემოსული არ დაგინახო“. როგორც გაირკვა, მხოლოდ ინგლისურის მასწავლებელი არ ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, სხვა მასწავლებლებიც თითო იშვრდნენ გოგონას მიმართულებით და დამამცირებელ ფრაზებს ეძახდნენ.

მე-11 კლასელი ბავშვის თმის ფერი სკოლის სამასწავლებლო ოთახში მთავარი განხილვის საგანი იყო მთელი ერთი წლის მანძილზე, რადგან ეს ბავშვი თმის ფერს სპეციალურად არ იცვლიდა. რეაგირება სკოლას მასწავლებლების ბულინგის ფაქტზე არ ჰქონია, რადგან ფაქტობრივად მთელი სკოლა ჩართული იყო ამ პროცესში. სასწავლო წელი ისე დამთავრდა, რომ მოსწავლის ფსიქოლოგიურ-ფსიქიკური მდგომარეობა არც სკოლას და არც კონკრეტულად დამრიგებელს არ გამოუკვლევია.

### რეკომენდაცია:

17 წლის ასაკში, მსგავსი ქცევა მოზარდების მხრიდან რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

- ▶ თვითდამკვიდრება
- ▶ ყურადღების მიქცევა
- ▶ თვითგამოხატვა
- ▶ პროტესტი

ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება.

სოციალურ-ემოციური სფერო თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

**თვითიდენტობა** (“მე“-კონცეფცია) – ეს არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ: ვინ ვარ მე? რომელ ჯგუფს ვაკუთვნებ ჩემს თავს? ბავშვი

მიაკუთვნებს საკუთარ თავს გარკვეულ სქესს, ეროვნებას და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში საკუთარ კლასს, მეგობრების ჯგუფს.

**თვითშეფასება** - ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, როგორ აფასებს საკუთარ თავსა და ქცევას - დადებითად თუ უარყოფითად, აგრეთვე საკუთარი თავის რწმენასა და იმედს, რომ წარმატებულად იქნება ამა თუ იმ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობის დროს.

**თვითმართვა** - გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. ქეისში არაფერია ნათქვამი ბავშვის თვითმართვის უნარებზე, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯიუტი წინააღმდეგობით ცდილობდა სტრესი დაეძლია.

**თვითგამოხატვა** - გულისხმობს ადამიანის უნარს სწორად გაიგოს საკუთარი განცდები და სათანადოდ გამოხატოს საკუთარი თავი, დამოკიდებულებები და გრძნობები. თმების ლურჯად შეღებვა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თვითგამოხატვა.

**ურთიერთობა** - ეს არის ადამიანებს ან ჯგუფებს შორის კავშირის დამყარების პროცესი, რომელიც რთული და მრავალმხრივია. ბავშვი ჯერ იწყებს უფროსთან ურთიერთობას და შემდეგ ვითარდება ურთიერთობა თანატოლებთან. ამ შემთხვევაში ჩვენს გოგონას არ გაუმართლა და ის უფროსების ბულინგის მსხვერპლად იქცა.

**ადაპტაციური სოციალური ქცევა** - გულისხმობს მოზარდის უნარს შეეგუოს იმ ადამიანებს, რომლებთანაც უწევს ურთიერთობა და იმ სიტუაციას, რომელშიც იმყოფება. ერთი მხრივ, გამოამჟღავნოს ნდობა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს სხვას. ეს ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული როლური უნარ-ჩვევების განვითარებასთან, რაც გულისხმობს მოვლენათა სოციალური კონტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა პოზიციიდან დანახვისა და შეფასების უნარს. სხვისი როლის გათავისების უნარის უქონლობა მოზარდს ხელს უშლის დაინახოს მოვლენები სხვა ადამიანის თვალთახედვიდან, თანაუგრძნოს სხვა ადამიანს. ასაკობრივ ზრდასთან ერთად მოზარდს ეს უნარი უვითარდება, რაც სხვების მიმართ კეთილგანწყობასა და სოციალური სიტუაციების სწორ შეფასებაში მყლავნდება.

## ძირითადი სტრატეგიები:

ყველა მოზარდი საჭიროებს სიყვარულსა და მზრუნველობას. მათ შორის ჩვენი ქეისის გმირი გოგონაც. მშობელი უნდა დაეყრდნოს რამდენიმე, ასეთ შემთხვევაში, ეფექტურ რეკომენდაციას:

- ▶ დაეხმაროს მოზარდს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით;
- ▶ შეაქოს და პოზიტიური განწყობა შეუქმნას, თუნდაც არ მოსწონდეს მისი ლურჯი თმები
- ▶ მისცეს დადებითი მაგალითი ემოციების მართვისას
- ▶ მიაქციოს ყურადღება მოზარდის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისოს განსხვავების მიმართ შემწყნარებლობა;
- ▶ აჩვენოს დადებითი მაგალითი კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას.
- ▶ არ იყოს მის მიმართ აგრესიული და უსამართლო.

*გახსოვდეთ, მოზარდი ნაბაძვით სწავლობს და მშობლის, მასწავლებლის დადებითი მაგალითი ძალზედ მნიშვნელოვანია.*



## ჩვენი აბაჯი N 7

ამბავი X სკოლის მე-11 კლასში მოხდა. ერთ-ერთი ბავშვი, რომელიც სტიქაროსანი იყო თანაკლასელების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი გახდა თავისი რელიგიური შეხედულების გამო. ვაკვეთილზე, სამმა ბიჭმა უხეშად და დამამცირებლად მიმართეს სტიქაროსან მოსწავლეს და შეურაცხვეს მისი რწმენა. თავდაპირველად სტიქაროსანმა მოსწავლემ ბიჭებს სთხოვა ტაქტიანად ესაუბრათ მის რელიგიურ შეხედულებებზე, თუმცა უშედეგოდ. იგივე ფაქტის განმეორების შემდეგ მოსწავლემ ამჯერად დამრიგებელს მიმართა თხოვნით, რომ როგორმე ეს პრობლემა მოეგვარებინა კლასში, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ, რადგან მასწავლებელს არც ერთ ბიჭთან არ უსაუბრია. საბოლოოდ აღმოჩნდა რომ ერთ-ერთი მოსწავლე იმ სამიდან ოქროს მედალოსანი და საკმაოდ გავლენიანი პიროვნების შვილი იყო, რის გამოც მასწავლებელი თავს იკავებდა ჩარევისგან და აშკარა რელიგიურ დისკრიმინაციაზე თვალს ხუჭავდა.

### რეკომენდაცია:

მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ფაქტი მკაცრად გააკონტროლოს და არ დაუშვას ძალადობის განმეორება. რელიგიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაცია იკრძალება კანონის ფარგლებში, რის შესახებაც მოსწავლეები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი. მასწავლებლის მოვალეობაა დაგვემოს კონფლიქტის გადაჭრის გზები, შეათვისოს პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს კანონით დაკისრებული ვალდებულება, რეფერირება.

### ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის №869 განკარგულება, ეს ბრძანება და სხვა სამართლებრივი აქტები (მუხლი 2).

ა) ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი

დ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, შექარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს (მუხლი 3).

4. სკოლების და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში პოლიციისა თუ სააგენტოს ინფორმირება; აგრეთვე, სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა (მუხლი 4).

## **საქართველოს კანონი**

### **დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შებლუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

## ჩემი აბაჯი N 8

მე მე-7 კლასში ვსწავლობ, ლუკა მექვია. კლასში უცნაურს მეძახიან. ალბათ იმიტომ, რომ სინყნარე მიყვარს, ხატვა და კითხვა. არასდროს ვაქტიურობ, მაგრამ გაკვეთილების სწავლა მომწონს. განსაკუთრებით ქართულის, ისტორიის და ხელოვნების, - საინტერესო გაკვეთილებია. მასწავლებლებთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ვიცი, რომ მათაც ვუყვარვარ. კლასელებთან ვერ ვმეგობრობ, მხოლოდ ირაკლისთან ვარ ახლოს. კლასელი ბიჭებისგან მუდმივად ვგრძნობ დამამცირებელ გამოხედვასა და სიტყვიერი შეურაცხყოფებიც არის. ყოველთვის ვეუბნები, რომ არ მინდა უთანხმოება და ჩხუბი, მაგრამ ისინი თითქოს ერთობიან ჩემი დამცირებით. ირაკლიც არიდებს თავს მათთან უთანხმოებას. ეს სიტუაცია ასატანი იყო მანამ, სანამ ერთერთი კლასელი ფიზიკურად არ დამიპირისპირდა და უცენზურო სიტყვებითაც მომმართა. ინციდენტი სპორტის გაკვეთილზე მოხდა. მასწავლებელმა მხოლოდ ჩემი საპასუხო ხელის კვრა დაინახა და სასწავლო ნაწილთან გამიშვა, მანდატურთან ერთად. კითხვებს არ ვპასუხობდი. ვიფიქრე, რომ ეს უშედეგო იქნებოდა, მაგრამ სასწავლო ნაწილმა გამოკითხვა დაიწყო. არ სჯეროდა, რომ მე კონფლიქტს გამოვიწვევდი და ბოლომდე გაარკვია პრობლემა. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, თითქოს ყველა პრობლემა დამთავრდა და მე ვიგრძენი მხარდაჭერა არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ კლასელების მხრიდანაც. მათ აღიარეს, რომ ხედავდნენ ჩემ მიმართ განხორციელებულ ყველა შეურაცხმყოფელ ქმედებას და არ მოსწონდათ, თუმცა არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. სასწავლო ნაწილის ჩარევის შემდეგ კი ყველამ დააფიქსირა თავიანთი პოზიცია და ახლა მშვიდად ვგრძნობ თავს.

### რეკომენდაცია:

რა არის ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა?

ემოციური ძალადობა გულისხმობს ბავშვთან მუდმივად ისეთი ურთიერთობის ფორმების გამოყენებას, რომელიც ინვესს ემოციურ ტკივილს. ასეთი ურთიერთობის ფორმებში შეიძლება შედიოდეს: შეურაცხყოფის მიყენება, კრიტიკა, აგრესიული და ასაკისთვის შეუფერებელი მოთხოვნების წაყენება, დაშინება, ბავშვის აუცილებელი მოთხოვნილებების უგულებელყოფა, სიბოძოსა და მზრუნველობის მოკლება, უსამართლო ბრალდებების წაყენება, ემოციური მანიპულაცია, გადამეტებული კონტროლი, იზოლირება, დაცინვა და დამცინავი სახელებით მიმართვა

სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუდმივად გაკრიტიკება- ბავშვის მუდმივი დამცირება, დაცინვა, კრიტიკა, შერცხვენა (განსაკუთრებით სხვების თანდასწრებით) და ყვირილი – ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტებია.

ბულინგი/ჩაგვრა, ეს არის პირდაპირი ძალადობა, საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი, რაც კი შეიძლება მოხდეს სკოლის არეალში. რაც შეეხება შევიწროებას, ეს ჩნდება მაშინ, როდესაც მოსწავლე განიცდის ბულინგს, მისი პიროვნული მახასიათებლების გამო. ანუ განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება მოსწავლის გენდერი, წარმომავლობა ან ქმედუნარობა.

ბულინგისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები:

- ▶ ეს არის აგრესიული სახის ქცევა, რომელსაც განმეორებადი ხასიათი აქვს;
- ▶ მჩაგვრელს აქვს მეტი ძალაუფლება, ვიდრე დაჩაგრულს (უფრო ძლიერია ფიზიკურად, ან სტატუსით უფრო მაღლა დგას);
- ▶ მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განზრახული;
- ▶ მჩაგვრელი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ მსხვერპლმა „დაიმსახურა“ ასეთი მოპყრობა.

ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც არის ჩაგვრის მსხვერპლი, არ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე. თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს ჩაგრავენ და სჭირდება უფროსების მხრიდან მხარდაჭერა, ყურადღება, მოსმენა. ჩვენი შემთხვევა ამ მხარდაჭერის საუკეთესო მაგალითია, როცა მშობელი, მასწავლებელი ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა, ენდოს მოზარდს, მოუსმინოს მას და პრობლემის ანალიზი გააკეთოს.



## ჩემი აბაჯი N9

ჩემი შვილი მე-5 კლასის მოსწავლეა. საკმაოდ გონებაგახსნილი და საბრძოლო ბიჭია, მაგრამ სკოლაში მათემატიკის გაკვეთილი არ უყვარს, არც დავალებებს აკეთებს სახლში, არც გაკვეთილს ამზადებს. მუდმივად ვეძებდი მიზეზს რატომ არ სწავლობდა მათემატიკას. მათემატიკის მასწავლებელთან კომუნიკაციაც შედეგს არ იძლეოდა. მასწავლებელი. საუბრისას, ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ყველას არ შეუძლია მათემატიკის სწავლა. ჩემს კითხვაზე, თუ რა იგულისხმება ამ ასაკში მინიმალურ მიღწევად, რომ ჩემმა შვილმა 5 ქულა მიიღოს, პასუხი ასეთი იყო, რომ კლასში 25 მოსწავლეა და ყველასთან სხვადასხვა დავალებებს ვერ გააკეთებდა და ძლიერ მოსწავლეებს დროს ვერ მოაკლებდა ერთის გამო. არ ვიცი რა გავაკეთო. ბავშვი უკვე ჯობრით აღარ ასრულებს არც ერთ მოთხოვნას და ამბობს, რომ მასწავლებელი მაინც არ შეამოწმებს დავალებას და არ გაიყვანს დაფასთან. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

### რეკომენდაცია:

დიფერენცირება ნიშნავს დაყოფას, დანაწილებას, მთელის გაყოფას ნაწილებად, ფორმისა და საფეხურების მიხედვით დანაწილებას და თითოეულის შესწავლას ცალ-ცალკე.


სწავლების პროცესში იყოფა მიდგომა სწავლებისადმი. დაყოფის საფუძველი არის თითოეული შემსწავლელის, ჩვენს შემთხვევაში მე-5 კლასელი ბიჭის, გამოცდილება და შესაძლებლობები. ჰოვარდ გარდნერი წერს, რომ „ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც, გასულ საუკუნეებში, სწავლებაში უშვებდნენ იყო ის, რომ ყველა საგანს ერთნაირად ასწავლიდნენ და ყველა მოსწავლეს უდგებოდნენ ისე, თითქოს ისინი ერთი ინდივიდის განსხვავებული ვარიაციები ყოფილიყვნენ.“

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, ერთი და იგივე უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ყველანაირი სასწავლო პროფილის ინტერესის, მზაობის მოსწავლეებთან, ოღონდ მათთვის მიმზიდველი და საინტერესო ამოცანებით. ჩვენს ამბავში პედაგოგმა ბიჭს უნდა შესთავაზოს ზომიერი რაოდენობის, კარგად შერჩეული საგარჯიშოები, საჭიროებებზე მორგებული და მის ძლიერ მხარეებზე ორიენტირებული.

დიფერენცირებული სწავლების დროს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები და წარმატების კრიტერიუმები ყველა მოსწავლესთან ერთნაირია, მაგრამ ბავშვები წარმატებისკენ სხვადასხვა გზით მიდიან.

თანამედროვე სტანდარტები ფართოდაა მიმართული განათლების ჰუმანიზაციაზე და სწავლების ინდივიდუალიზაციაზე, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის რეალიზაციას. ამ მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ:

- ა) სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლის პიროვნება (რაც დამახასიათებელია სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომებისთვის);
- ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება აქცენტირებულია ინდივიდუალიზაციასა (რაც წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლების მეთოდურ საფუძველს) და დავალებების დიფერენცირებაზე (გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკაზე).



## ჩვენი აზრები N 10

ვარ მე-8 კლასელი გოგონას დედა. ჩემი შვილი არ გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ ყოველთვის ცდილობს გაკვეთილზე ყურადღებით იყოს და რაც შეუძლია მაქსიმალურად გააკეთოს. თუმცა, შედეგი, მაინც საშუალო აქვს, თითქმის ყველა საგანში. ბავშვი ამბობს, რომ სკოლაში მასწავლებლები გამორჩეულად და განსაკუთრებულად ეპყრობიან კლასის რამდენიმე მოსწავლეს, რომლებსაც ყველა საგანში უმაღლესი შეფასება აქვთ, და თუ ზოგჯერ დავალება არ უწერიან ან გაკვეთილი არ იციან, მასწავლებლები არც დაბალ ნიშანს უწერენ და არც საყვედურობენ, მხოლოდ მიმეზს ეკითხებიან. რამდენჯერმე გამოთქვა უკმაყოფილება ჩემმა შვილმა, რომ ბუსტად ისე მოყვა გაკვეთილი, როგორც ათოსანმა, მაგრამ მასწავლებელმა მაინც საშუალო ქულა დაუწერა, რადგან ასეთ ქულებს უწერს ხოლმე. უფრო მაღალი ქულის დაწერით კი თვლის, რომ წარჩინებულ მოსწავლეებს გაუთანაბრებს და ეს უსამართლობა იქნება მათთვის.

გადავწყვიტე დამრიგებელთან მისვლა და სიტუაციის გარკვევა, დამრიგებელმა ყურადღებით მომიხმინა და ყველა მასწავლებელს შემახვედრა, საკმაოდ გულახდილი საუბრების შემდეგ შედეგმა არ დააყოვნა. ჩემმა გოგონამ გაკვირვებულმა აღნიშნა, რომ ყურადღებას არ აკლებენ მასწავლებლები და რამდენიმე საგანში ცოტა წახალისებით უმაღლესი ქულაც მიიღო. ეს ძალიან დიდი მოტივაცია აღმოჩნდა მისთვის, უხარია სკოლაში წასვლა, გაკვეთილებსაც სისტემატურად სწავლობს და სხვადასხვა პროექტებშიც ჩაერთო.

### რეკომენდაცია:

ბავშვის აღზრდა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად არის აწყობილი სკოლის, ოჯახის, მშობლების ურთიერთობა. სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გაღვივებასა და განვითარებაში წამყვანი როლი კლასის დამრიგებელს ენიჭება, რომლის მუშაობაზეა დამოკიდებული, რამდენად აცნობიერებს ოჯახი სკოლის მიერ გატარებულ პოლიტიკას.

მშობლისა და პედაგოგის თანამშრომლობას ერთმანეთის მიმართ ურთიერთპატივისცემის, მხარდაჭერის, დახმარების, მოთმინებისა და ტოლერანტობის პრინციპები უნდა ედოს საფუძვლად.

სკოლისა და მშობლის ურთიერთობა ჩვენს სინამდვილეში პრობლემას წარმოადგენს. ორივე მხარე სავსებით დასაბუთებულად გამოთქვამს საკუთარ პრეტენზიას.

- ▶ მასწავლებლები უჩივიან მშობლების ინერტულობასა და ნაკლებჩართულობას შვილების სასკოლო ცხოვრებაში.
- ▶ მშობლები მიუთითებენ მასწავლებლების პასიურობასა და მათ გულგრილობაზე, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათი ასეთი დამოკიდებულება ბავშვთა სასკოლო გარემოში არასასურველი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზეზი ხდება.
- ▶ როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მას უკეთესი მიღწევები აქვს. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში მშობლის და დამრიგებლის ღია და კორექტული თანამშრომლობით, მოსწავლე უფრო დადებითად განეწყობს სკოლის მიმართ და საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენაც გაუძლიერდა; უფრო კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდა როგორც მასწავლებლებთან, ასევე ოჯახის წევრებთან, უხარია და სიამოვნებს სკოლაში მისვლა, რაც პოზიტიური დასაწყისია სწავლის უკეთ გაგრძელების.

ჩვენს შემთხვევაში არ ჩანს, მაგრამ თანამშრომლობის ასეთ პოზიტიურ გარემოში:

- ▶ მოსწავლეს მეტად შეუძლია ქცევის მართვა, მეტად მოტივირებულია და ჩართულია საგაკვეთილო პროცესებში;
- ▶ უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას, სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობებიც აქვს;

აქედან გამომდინარე, თუ მშობლებს არ აქვთ ურთიერთობა მასწავლებლებთან ან არ არიან დაინტერესებული სკოლაში მიმდინარე მოვლენებით, მათი შვილების მოტივაცია და ჩართულობაც ნაკლებია და აკადემიური მოსწრებაც, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, უფრო დაბალია.

## ჩემი აბაჯი N 1

ვარ მე-6 კლასელი ბიჭის და. ბოლო პერიოდში ჩემი ძმის ხასიათის ცვლილების გამო გამიჩნდა ეჭვი, რომ სკოლაში პრობლემები აქვს. ერთხელ შემთხვევით სოციალური ქსელი დარჩა ჩართული, კლასელ ბიჭებს ჰქონდათ საერთო ჯგუფი გაკეთებული, სადაც დავალებებს და გაკვეთილებს ანიშინებდნენ ერთმანეთს. შემთხვევით მოვკარი თვალი, რომ ერთ-ერთი ბავშვი საკმაოდ უხეშად და მბრძანებლური ტონით ითხოვდა უშუალოდ ჩემი ძმისგან, დავალებისთვის ფოტო გადაეღო და გადაეგზავნა. ჩემს ძმასაც რამდენჯერმე ჰქონდა გადაგზავნილი. მოგვიანებით ვკითხე, აწერიებდა თუ არა სკოლაში სხვებს დავალებებს და დამიდასტურა, რომ თითქმის ყოველ დღე, მათემატიკის დავალებას, აწერიებდა თავის კლასელს, იძულებით. მასწავლებელმა, რამდენჯერმე, ერთნაირი შეცდომების გამო, მხოლოდ ჩემს ძმას დაუწერა ორიანი, რადგან მან გადააწერინა. ამ ფაქტს ჩემი ძმა ძალიან განიცდის, თითქმის ყველა საგანში მაღალი ქულა აქვს და ორიანის გამო სწავლის მოტივაციას კარგავს.

ბევრი ვიფიქრე და დედას დაველაპარაკე, დედამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დამრიგებელს დაელაპარაკა. მათ მათემატიკის მასწავლებელთან და სხვა ბიჭების მშობლებთან ერთად იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ დაკვირვებოდნენ ბავშვების ქცევას, ჩატში მიმონერას. დაკვირვების შემდეგ, გადაწყვიტეს, ექსკურსიის დაგეგმვა, სადაც მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას მისცემდა ყველას, მგზავრობის პროცესში, სხვადასხვა მათემატიკური გამოთვლების სახით და სადაც ყველა საკუთარი სურვილით აირჩევდა მეწყვილეს. რა თქმა უნდა ბიჭებს, ყველას, ჩემს ძმასთან ერთად სურდა დავალების შესრულება, რადგან ფიქრობდენ, რომ თავად არაფერს შეასრულებდნენ. ამით ისარგებლა მასწავლებელმა, ჩემი ძმა კარგი მეგობრობისთვის შეაქო და ყველას დახმარება დაავალა. ამ დღის შემდეგ შეწყდა ჩატში მოთხოვნები. კლასშიც გაუმჯობესდა სიტუაცია. ჩემი ძმის ქცევაც შეიცვალა, თავდაჯერებული და მშვიდია.

### რეკომენდაცია:

მშობლისა და მასწავლებლის ბავშვისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. სკოლა და ოჯახი არის სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი თავისი სპეციფიკური მრავალფეროვანი ფუნქციებითა და დამოკიდებულებებით. ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლები იწყებენ ურთიერთემოქმედებას ისე, რომ ინარჩუნებენ ბავშვისადმი მათი ჯგუფისთვის ჩვეულ და განმტკიცებულ დამოკიდებულებას.

პედაგოგსა და მშობელს შორის წინააღმდეგობა ძლიერდება იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი ფორმალისტია და თავისი მოღვაწეობა უბრალო სამსახურად მიაჩნია, ამიტომ მოსწავლესთან მხოლოდ და მხოლოდ “საქმიან ურთიერთობას” ამყარებს. მშობლებსა და ახლობლებს კი ბავშვისადმი სულ სხვაგვარი, ემოციურად შეფერილი დამოკიდებულება აქვთ. მშობლებს უჭირთ მასწავლებლის მშრალ დამოკიდებულებასთან შეუგება, პედაგოგს კი მშობლების ეს პრეტენზიები და განცდები გადაჭარბებული და უსაფუძვლო ეჩვენება.

თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს გაიგოს, მიიღოს და თავის პედაგოგიურ საქმიანობაში გაითვალისწინოს მშობლების მღელვარება შვილის ბედ-იბლის გამო, შესაძლოა მხარეებს შორის უკმაყოფილებამ იჩინოს თავი. ზოგიერთ მასწავლებელს უჭირს, თავი მშობლის ადგილას წარმოიდგინოს და გააცნობიეროს, რას განიცდის ის. ამიტომ ბავშვის უკეთ გასაგებად, სწავლისა თუ პიროვნული ზრდის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის შეთანხმებული მოქმედება, თანამშრომლობა.

მასწავლებელსა და მშობლებს შორის არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ რეკომენდაციებს:

**მოსწავლეთა მშობლებთან კონტაქტების ძიება.** მშობლებთან კონტაქტის დამყარების სურვილის უქონლობა უმეტესწილად განპირობებულია მასწავლებლის ზედმეტი თავდაჯერებით, საკუთარი პედაგოგიური შესაძლობლობების დიდი რწმენით და/ან გულგრილობით, პასუხისმგებლობის ნაკლებობით. ეს წინააღმდეგობა რომ დაიძლიოს, ერთი მხრივ, აუცილებელია, მასწავლებელმა თითოეული მოსწავლის შესახებ მოიპოვოს სრულყოფილი ინფორმაცია, რომელსაც პედაგოგიური საქმიანობისას გამოიყენებს. მეორე მხრივ, უნდა დაიძლიოს მხარეებს შორის წინააღმდეგობები ბავშვისადმი მოთხოვნებისა და დამოკიდებულების გამო. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა კი შესაძლებელია მშობელთან მუდმივი თანამშრომლობის გზით, რასაც პირდაპირ გვავალდებულებს მასწავლებლის ეთიკის კოდექსი (მუხლი 5).

**პასუხისმგებლობა მშობლის წინაშე ბავშვის აღზრდისა და სწავლის შედეგებზე.** მასწავლებელმა მუდმივად უნდა იქონიოს კონტაქტი მშობელთან და მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ, იმის შესახებ, რას მიაღწია მან, რას – ვერა და რატომ, ანდა რა შეიძლება იღონონ მასწავლებელმა და მშობელმა ურთიერთთანამშრომლობით მოსწავლის სუსტი მხარეების გასაძლიერებლად (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5,4).

## ჩემი აბაჯი N 12


ჩემი შვილი მე-3 კლასშია. ვფიქრობდი, რომ ამ ასაკში, ბავშვებმა, არ იციან დამცირება, გარიყვა. არ ვაქცევდი ჩემი შვილის ზუნუნს და ნუხილს ყურადღებას, როცა მიყვებოდა, რომ კლასში დასცინიან და „ჩხირს“ ეძახიან სიგამხდრის და სიმაღლის გამო. მივიჩინე, რომ ეს უწყინარი, ბავშვური თამაში იყო. ერთ დღესაც დამრიგებელმა მისვლა მთხოვა, რაც მან მომიყვა, ჩემთვის დიდი მოულოდნელობა და ემოციური ტრაგედია იყო. ჩემი შვილი არავის ეკონტაქტება კლასში, არ ლაპარაკობს, კითხვებს არ სცემს პასუხს და ყველას ურტყამს.

ვისაუბრეთ. მე გულახდილად მოუყევი, რასაც ვფიქრობდი და რაც ვიცოდი, დამრიგებელმა ამიხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩემს დამოკიდებულებას და ბავშვის პრობლემების სეროიზულად გაანალიზებას და აღქმას. ვთვლიდი, რომ ყურადღებიანი მშობელი ვიყავი, მაგრამ დამრიგებელთან საუბრის შემდეგ, ჩემი შვილის მიმართ, დამოკიდებულებების გაანალიზება დავიწყე. ახლა მუდმივად ვკონტაქტობ დამრიგებელთან და ერთად ვგეგმავთ ყველა ნაბიჯს; დავდივართ ფსიქოლოგთან, რასაც ადრე შეურაცხყოფად მივიღებდი, ახლა ჩემი იმედია. სიტუაცია კლასში გამოსწორდა დამრიგებლის სხვადასხვა ღონისძიებების წყალობით, აღარ ხდება დაცინვა, მაგრამ მე და ჩემს გოგოს კიდევ დიდი გზა გვაქვს წინ ერთმანეთის ნდობის აღსადგენად.

### რეკომენდაცია:

ბავშვი ვაკუუმში არ იზრდება და მის თვითშეფასებასა და ემოციურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს მისთვის მნიშვნელოვანი უფროსების დამოკიდებულება და მოლოდინები. შუა ბავშვობის პერიოდში უფროსის ავტორიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს, - ბავშვი განსაკუთრებით მგრძობიარეა მშობლისა და მასწავლებლის მიერ გამოთქმული რეპლიკებისა და შეფასებების მიმართ. შესაბამისად, ბავშვისათვის ავტორიტეტული ადამიანების, მშობლების დამოკიდებულებას მათი სწავლის, ქცევის თუ სურვილების მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ასაკის მოზარდის პიროვნულ-ემოციური სფეროს ჩამოყალიბებაში. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშობლების დამოკიდებულებას ბავშვის პრობლემების მიმართ, მიმღებლობას, დახმარების ფორმებს და სურვილს. მნიშვნელოვანია, მშობლებმა გააცნობიერონ და აღიარონ, რომ ბავშვი არის გარკვეული სოციუმის წევრი (ოჯახი, ბაღი/სკოლა, ქალაქი და ა.შ.), რომელიც მოიცავს გარკვეული სოციუმისთვის დამახასიათებელ განწყობებს, წეს-ჩვეულებებს, ღირებულებებს.

ბებს, ტრადიციებს, აღზრდის სტილს და ა.შ. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ოჯახში არსებული განწყობები, რწმენები, აღზრდის სტილი, ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებები გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, მის ქცევაზე, და საბოლოოდ იმაზე, თუ როგორ პიროვნებად ყალიბდება ბავშვი მრდასრულობის ასაკში. ამიტომ მშობლებისა და მასწავლებლის შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობა ერთადერთი მექანიზმია ბავშვის განვითარებისთვის საჭირო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.





## ჩემი აბაჯი N 13

ჩემი შვილი მე-4 კლასშია. სახლშიც და სკოლაშიც ძალიან აგრესიულია, პროტესტს გამოთქვამს ყველაფრის მიმართ, გაკვეთილების მომზადების, ჩაცმის, ჭამის და ზოგადად ყველაფრის მიმართ. სისტემატურად გვაქვს კომუნიკაცია დამრიგებელთან, ვძებთ მიზეზს, სახლში მშვიდი გარემოა, არასოდეს ისჯება და არ აკისრია პასუხისმგებლობები. დამრიგებელი გირჩევს, რომ აუცილებლად ავუხსნათ, რატომ და როგორ უნდა მოიქცეს, მიგუთითოთ შეცდომები და ვთხოვოთ, რომ პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ საქციელზე. დაგვემგვიტოვებოდა, მაგრამ, როცა ტირილს იწყებს, ყველაფერს ვუსრულებთ.

### რეკომენდაცია:

აუცილებელია, მშობლებმა გააცნობიერონ, რომ არის მიუღებელი ქცევები, რის იგნორირებაც არ შეიძლება და საჭიროა მაშინვე რეაგირება. მაგ. როდესაც ბავშვი ურტყამს მშობელს, ან ტეხავს ნივთებს, ან არ ასრულებს მითითებას, ან დაუსრულებლად რაიმეს მოითხოვს, ან არ აკეთებს დავალებებს; ამ დროს მნიშვნელოვანია, მოზარდმა, წინასწარ იცოდეს, რა ელის იმ შემთხვევაში თუ არასასურველად მოიქცევა ან არ შეასრულებს მითითებას. ამისათვის წინასწარ, ოჯახი უნდა შეთანხმდეს, რა ქცევებია მიუღებელი და რომელ ქცევებზე ექნებათ ბავშვებს სანქცია/სახდელი.

ბავშვის დასჯა, ანუ სანქცია გულისხმობს მისთვის სასურველი ნივთის ან მოქმედების დროებით აკრძალვას, რაც ბავშვმა წინასწარ უნდა იცოდეს. ბავშვი არჩევანის წინაშე დგას - ან უნდა თავისი სურვილით იმოქმედოს და წესი დაარღვიოს, რასაც მოჰყვება სანქცია, ან კი დაიცვას წესი და მიიღოს კილდო. მაგალითად, ბავშვმა იცის, რომ ჯერ გაკვეთილები უნდა მოამზადოს და შემდეგ ჩავიდეს ეზოში ან ითამაშოს კომპიუტერთან. თუ ის მაინც ირჩევს კომპიუტერთან/ეზოში თამაშს, ამოქმედდება დაპირებული სანქცია - მეორე დღეს არ ექნება კომპიუტერთან და/ან ეზოში თამაშის უფლება. თუ ბავშვი პროტესტს გამოთქვამს, მშვიდად, ჩხუბის გარეშე ვეუბნებით, რომ მან თვითონ აირჩია ასე, რასაც სამწუხაროდ, შესაბამისი აკრძალვა მოჰყვება. ამით იგი ეჩვევა დისციპლინის გარკვეულ ნორმებს.

ასწავლეთ ბავშვს არჩევანის გაკეთება. ყოველთვის შესთავაზეთ შებლადული არჩევანი იქნება ეს სადილი, სადმე წასვლა, სათამაშოს, წიგნის ან ტანსაცმლის ყიდვა. ჰკითხეთ, 2-3 ვარიანტიდან რომელი ურჩევნია. ეს ხელს უწყობს ბავშვის პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას და დამოუკიდებლობას.

## რეჟი აგბაჰი N 14

ვარ 16 წლის. პრობლემა, რომელიც მანუხებს, შეიძლება სხვა ბავშვებისთვის სასაცილოდაც კი ჟღერდეს, მაგრამ მე, ვფიქრობ, რომ ამაზე უნდა ვისაუბრო.

დავიწყებ იმით, რომ მამა არის მეცნიერებათა დოქტორი ფიზიკაში. ყოველთვის კარგად სწავლობდა და საკუთარი შრომით მიაღწია წარმატებას. დედა სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ, როგორც ხშირად აღნიშნავს, როცა მე დავიბადე, მისი მთავარი მიზანი ცხოვრებაში მე, ჩემი აღზრდა და უზრუნველყოფილი მომავალი გახდა. ალბათ უმადურობაა, რომ სწორედ ეს არის ჩემი პრობლემა: მუდმივი ყურადღება - სად მივიღივარ? რატომ? ვისთან ერთად? ყველა ჩემს გადადგმულ ნაბიჯს მიზანი უნდა ჰქონდეს და არ შემეფერება „ასეთი მამის შვილს“ ბავშვური საქციელი. ყველა საგანში მიმდინარე შეფასებაშიც კი მხოლოდ უმაღლესი შეფასება უნდა მქონდეს და აუცილებლად ოჯახის გადაწყვეტილებით ექიმი უნდა გავხდე, რადგან ამის მონაცემები მაქვს. არადა, მე ვერ ვხედავ ამდენ პოტენციალს ჩემში, მინდა თავისუფლად ვისუნთქო და უბრალოდ ხანდახან მომშივდეს კიდევ, კედლებიც დამეხეს, წიგნიც დამრჩეს, შენიშვნაც მივიღო და არ ვიყო სულ „სამაგალითო“. უბრალოდ, მინდა დედას მასწავლებელი იძახებდეს და არა ყოველ დღე, თავად იღგეს, სამასწავლებლოსთან, შოკოლადებით ხელში, მასწავლებლის კომენტარის „საუკეთესოს“ მოლოდინში, რომელსაც მე საოცარი შინაგანი პროტესტით ველოდები.

არ ვიცი, სხვებისთვის ალბათ ჩემი მდგომარეობა შესაშურია, მაგრამ ვფიქრობ ზომიერება და პიროვნების პირადი სივრცის პატივისცემა მნიშვნელოვანია ყველასთვის. მათ შორის ჩემს სიტუაციაში მყოფი თანატოლებისთვის.

### რეკომენდაცია:

ამ შემთხვევაში გადამეტებულ მზრუნველობასთან ანუ ჰიპერმზრუნველობასთან გვაქვს საქმე. რა ნიშნებით ხასიათდება ჰიპერმზრუნველობა?

ჰიპერმზრუნველობის ოთხივე ტიპს აქვს განსხვავებული გამომწვევი მიზეზი, მაგრამ აქვს საერთო მახასიათებლები:

- ▶ ბავშვის სურვილების ინტერესების და უპირატესობების იგნორირება – ჩვევა ყველაფერი მის მაგივრად აკეთონ.
- ▶ ბავშვის ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლი – განათლებითა და კვებით დაწყებული, მეგობრებთან ურთიერთობით დამთავრებული.

- ▶ მშობლის მიერ ბავშვზე მუდმივი ზედმეტი ზეწოვა - რაც, უმეტეს შემთხვევაში, გამოვლილი მიზეზებია.
- ▶ მკაცრი მოთხოვნა, რომ ბავშვმა დაიცვას წესები - შეზღუდვა, როდესაც მშობლები აქვეითებენ ბავშვის ინიციატივებს და არ მიესაღმებიან ბავშვის დამოუკიდებლობას.

მშობლები ყოველთვის უნევენ დახმარებას შვილებს, ცდილობენ შეასრულონ მათი მოვალეობები.

### **რა შედეგი აქვს ჰიპერმზრუნველობას?**

ჰიპერმზრუნველობა ეს არის ბავშვთან არაჯანსაღი ურთიერთობა, რომლის შედეგადაც ბავშვები ვერ იღებენ საჭირო გამოცდილებას და უნარებს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდნენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად ჯანსაღ პიროვნებად.

მემზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები იზრდებიან ინფანტილურები, არ არიან დამოუკიდებლები და მიდრეკილნი არიან ნევროზისკენ. ასეთი ბავშვები ან აგრძელებენ მშობლების „მფარველობის ქვეშ“ ყოფნას, ან პირიქით გარბიან ოჯახიდან და ცდილობენ განწყვიტონ ურთიერთობა მშობლებთან.

მემზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს აქვთ დაბალი თვითშეფასება, ისინი არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ შესაძლებლობებში; არ არიან მზად გაუმკლავდნენ რთულ სიტუაციებს. მოზრდილობისას, ან ითხოვენ სხვებისგან ყველა სურვილის შესრულებას, ან პირიქით, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არიან კარგები და დაიმსახურონ საზოგადოების ყურადღება და სიყვარული. შეიძლება მათ განუვითარდეთ ფსიქოსომატური დაავადებები, მომატებული აგრესია, რომელიც მიმართულია, როგორც გარემოსკენ (თანატოლების მიმართ, მოგვიანებით მშობლების მიმართ), ასევე საკუთარი თავისკენ. მომავალში შესაძლებელია ჩამოუყალიბდეს აზარტულ თამაშზე, ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულება.

ამ პრობლემებთან ერთად ადგილი აქვს გამუდმებულ ტყუილებს, რომელიც წარმოადგენს კონტროლისგან გაქცევის საშუალებას.

მშობლებს შეუძლიათ გამოასწორონ სიტუაცია და დაიწყონ არა ბავშვის გაკონტროლება, არამედ ბავშვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შეცვლა, ისწავლონ საკუთარი შვილის ნდობა, პატივი სცენ მას და მიიღონ

ის, როგორც პიროვნება. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა რადიკალურად შეცვალონ აღზრდის სტილი (მიდგომა), გაიგონ შვილის ინტერესები, განცდები, სურვილები, დაინტერესდნენ მისი აზრით და მოთხოვნილებებით. მშობლებმა უნდა გაავლონ ზღვარი ჭირვეულობასა და ბავშვის ფიზიკურ და მორალურ მოთხოვნილებებს შორის; ასევე მისცენ შვილს არჩევნის უფლება და დაუწესონ მას ასაკის შესაბამისი შეზღუდვები და წესები, იმისათვის, რომ უფრო მეტად დამოუკიდებელი გაიზარდოს.

### **რჩევა მშობლებს:**

1. მიეცით ბავშვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მაგ: რა ჩაიცვას, ვის ეთამაშოს, სად წავიდეს და ა.შ.;
2. ბავშვთან საუბრისას ყურადღება მივაქციოთ საუბრის ტონს, არ გამოვიყენოთ მბრძანებლური, დირექტიული ტონი;
3. მიეცით ბავშვს არჩევნის საშუალება;
4. პატივი ეცით მის არჩევანს და სურვილებს;
5. მიეცით საშუალება ბავშვს ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები;
6. წაახალისეთ ბავშვის ინიციატივა ;
7. იპოვეთ ბალანსი დაცვასა და თავისუფლებას შორის. ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ უნდა ხდებოდეს მეორის ხარჯზე. დავიცვათ და არ შევზღუდოთ თავისუფლება.



## ჩემი აბაჯი N 15

მე ლუკა მექია. 17 წლის ვარ. ახალ სკოლაში გადავედი, რადგან ჩემს ყოფილ სკოლაში საშემოდგომო გამოცდები დახმარებითაც ძლივს ჩავაბარე. დირექტორმა, დედას, ჩემი სხვა სკოლაში გადაყვანა მოსთხოვა. მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ კლასში ჩატოვებით დაგვემუქრა, თან ამას ჩემი ყოფილი დამრიგებლის კომენტარიც დაერთო, რომელთანაც 7 წელი გავატარე და ვფიქრობდი, რაღაც დადებითი ემოცია მაინც ექნებოდა ჩემს მიმართ: „ამისი ჩანჩალი უკვე აღარ შემიძლია. კლასს ცუდი ავტორიტეტი აქვს და მე ბავშვებზე ბრუნვა მევალებათ“.

კითხვა გამიჩნდა: მე არ ვარ ბავშვი? ვის იცავს ჩემგან? ვისზე ბრუნვა ევალებათ? ქულებით წყვეტს, ვინ არის ბრუნვის ღირსი? ამდენი წლის მანძილზე, ყოფაქცევაში არასოდეს შენიშვნა არ მიმიღია, ყველა დავალებას ვასრულებდი.

ახალ სკოლაში საკმაოდ ცუდი იარლიყით მივედი. ვფიქრობდი, იგივე სცენარი განმეორდებოდა, მაგრამ შევცდი და ეს მიხარია, - ახალი დამრიგებელი და დირექტორი დადებითი განწყობით დამხვდნენ. დედა არ წავიყვანე, რადგან ვიფიქრე აგრესიაზე აგრესიით ვუპასუხებდი და არ მინდოდა ეს დედას ენახა. შევცდი. მიმიღეს, მომისმინეს, ერთი საათი ვსაუბრობდით დირექტორის კაბინეტში, დედასაც დავურეკე და მოვიდა. არ ვიცი მომავალში რა იქნება, მაგრამ ვეცდები ამ აღამიანებს იმედები არ გავუცრუო.

### რეკომენდაცია:

სკოლის მთავარი ამოცანა მხოლოდ განათლების მიცემა არაა. სკოლაში მოსწავლემ ბედნიერად უნდა იგრძნოს თავი, მიუხედავად მისი აკადემიური მოსწრებისა. იგი სკოლაში ყოფნის ბედნიერებას ემოციურადაც უნდა აღიქვამდეს და გონებრივადაც. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ადამიანის ბედნიერების უფლება სიცოცხლის და თავისუფლების გვერდით იხსენიება და მისი ფარდი მნიშვნელობა აქვს.

ბედნიერება სასკოლო საგნებში არ ისწავლება, ბედნიერების უფლება ოჯახში და სკოლაში უნდა მისცეს ბავშვს ყურადღებით, მოსმენით, მზრუნველობით.

## ყურადღება!

### ბავშვთან ურთიერთობისას განათვალისწინებადი ფაქტორები:

- ▶ გამოიჩინეთ ყურადღება და თანაგრძნობა
- ▶ გამოიყენეთ მოკლე შეკითხვები და წინადადებები
- ▶ გამოიყენეთ მარტივი და ბავშვისთვის გასაგები გრამატიკული კონსტრუქციები. მაგალითად, ბევრ ბავშვს არ ესმის აბსტრაქტული ცნებები, სიტყვების გადატანითი მნიშვნელობები, ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადებები და სხვა;
- ▶ არ გამოიყენოთ პროფესიული ტერმინები
- ▶ შეეცადეთ ნაკლებად იხმაროთ ნაცვალსახელები
- ▶ თუ ბავშვი არ საუბრობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუსვით პირდაპირი შეკითხვები: ვინ, რა, სად, როდის, როგორ...
- ▶ განსაკუთრებით შეიკავეთ თავი დახურული კითხვებისგან, ანუ იმ კითხვებისგან, რომლებზე პასუხები შეიძლება იყოს მხოლოდ „კი“ ან „არა“
- ▶ არ გამოიყენოთ ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი კითხვები
- ▶ “რატომ” - კითხვისგან თავი შეიკავეთ 2 ძირითადი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარ შეკითხვებზე ბავშვმა უმეტესწილად პასუხი არ იცის
- ▶ ამას გარდა, „რატომ“ შეკითხვები ფარულ დადანაშაულებას შეიცავს („რატომ არ დაუძახე დედას?“ - ბავშვი აღიქვამს, რომ მას რაღაცაში ადანაშაულებენ)
- ▶ ყველაზე მთავარი დეტალები და ფაქტები, უმჯობესია, ჩაიწეროთ მაშინვე, საუბრის შემდეგ.

### ბავშვთან გულახდილი საუბრისას გაითვალისწინეთ:

- ▶ ბავშვს ყურადღება რომ არ გაეფანტოს, ოთახში სათამაშოების რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, ამასთან, გარემო არ უნდა აღიქმებოდეს ბავშვის მიერ, როგორც ოფიციალური.
- ▶ საუბრისას ოთახში არ იმყოფებოდნენ გარეშე პირები, არ რეკავდეს ტელეფონი.
- ▶ საუბრისას ოთახში ბავშვის მშობლების ყოფნა სასურველი არაა, რადგან ისინი შეიძლება ჩაერიონ თქვენს ურთიერთობაში ან ზეგავლენა

მოახდინონ ბავშვის პასუხებზე. თუმცა, 6 წლამდე ასაკის ბავშვებს ხშირად ეშინიათ მშობლის გარეშე დარჩენა. ასეთ შემთხვევებში ორგანორად შეგიძლიათ მოიქცეთ:

1. შეიძლება ნება დართოთ მშობელს, დაესწროს თქვენს საუბარს, მაგრამ ის ბავშვის ზურგსუკან უნდა დასვათ და შეუთანხმდეთ, რომ არ ჩაერიოს ბავშვთან თქვენს საუბარში;
2. შეიძლება სთხოვოთ მშობელს, გვერდით ოთახში დაგელოდოთ და უთხარით ბავშვს ამის შესახებ, რადგან მან იცოდეს, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია მშობელთან მისვლა. საუბრის დაწყებამდე აჩვენეთ ოთახი, სადაც მისი მშობლები დაელოდებიან.

მზად იყავით იმისთვის, რომ საუბრის დასაწყისში ბავშვმა შეიძლება არაფერი გითხრათ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, რადგან ბავშვს უძნელდება თავისი „საიდუმლოს გამხელა“. ასეთ შემთხვევაში, უთხარით, რომ თქვენ იცით, რამდენად ძნელია მისთვის ამ თემაზე საუბარი.

## **ბავშვთან უაღიარებლობისას გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები:**

- ▶ ასაკი
- ▶ მეხსიერება
- ▶ ემოციური მდგომარეობა
- ▶ ფიზიკური მდგომარეობა
- ▶ საუბრისათვის მზაობა
- ▶ განვითარების დონე (მათ შორის მეტყველების განვითარების);
- ▶ გამოცდილება, ცოდნა
- ▶ ბავშვის კავშირი იმასთან, ვინც მის მიმართ სავარაუდო ძალადობა განახორციელა
- ▶ მომხდარის ზეგავლენა ბავშვზე

## **ასევე მნიშვნელოვანია:**

- ▶ ცვლილებები ბავშვის ყოველდღიურ ქცევებსა და ჩვევებში სახლში, სახლს გარეთ, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში. ბავშვმა შეიძლება ინტერესი დაკარგოს იმის მიმართ, რაც ადრე აინტერესებდა, შეიცვალოს ჩაცმის მანერა. ის შეიძლება უფრო ნერვიული, გაღიზიანებული, მფრთხალი გახდეს; გაუბოლდეს გარკვეულ ადამიანებთან კონტაქტს; სექსუალური ტრავმატიზაციის შემთხვევაში შეიძლება შეინიშნებოდეს ქცევის ასაკისთვის შეუფერებელი სექსუა-

ლიბაცია (სექსუალური აგრესია, სხვა ადამიანების სამღვრების დაუცველობა და სხვა).

- ▶ რეგრესი ქცევაში. ბავშვი ისე იქცევა, თითქოს უფრო პატარა ასაკის იყოს; „ივინყებს“ უკვე ათვისებულ უნარ-ჩვევებს. მაგ. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი თითის წოვას ან ენის მოჩლექით ლაპარაკს იწყებს.
- ▶ ზესიფიზიზმე ან მომატებული აგზნებადობა. არამოტივირებული ზესიფიზიზმე იმაში ვლინდება, რომ ბავშვი თითქოს საკუთარ თავს დარაჯობს, მუდმივად დაძაბულია, ერთგვარ “მზადყოფნაში”, რათა ნებისმიერ მომენტში აირიდოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მუქარა. მომატებული აგზნებადობის დროს ბავშვებს არ შეუძლიათ ერთ ადგილზე გაჩერება, მოუსვენრობას ავლენენ.
- ▶ გარიდების მცდელობა ყველაფრისგან, რაც ტრავმას უკავშირდება. ბავშვს არ სურს იფიქროს, მოყვეს მომხდარის შესახებ, ეშინია იმ ადგილებში ყოფნა, რომლებიც გადატანილ ძალადობას უკავშირდება. მაგალითად, გოგონა, რომელზეც სექსუალური ძალადობა განხორციელდა ლიფტში, უარს ამბობს ლიფტით სარგებლობაზე.
- ▶ გარემომცველი ადამიანებისადმი ნდობის დაკარგვა. ბავშვებს მუდმივად აქვთ საფრთხის განცდა. მათ ეშინიათ მოზრდილების, ამასთან, არა მარტო მამაკაცების, რომელთაგან უფრო ხშირია ძალადობა, არამედ ქალებისაც, მათ აშინებთ ახალი ყოფითი სიტუაციები.
- ▶ შიშების არსებობა. შიში შეიძლება იყოს ბევრნაირი და ხშირად - ძალზე დიდი ინტენსივობით გამოხატული. ზოგიერთ ბავშვს ოთახში მარტო დარჩენის ეშინია, ზოგს - სიბნელის, მოზრდილი ადამიანების, მათ შორის, - ნაცნობებისაც, ქუჩაში სიარულის და მრავალი სხვა.
- ▶ დეპრესიული მდგომარეობები, სუიციდური აზრები და მცდელობები. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო დაფარულია მისი დეპრესიული განცდები. ბავშვმა შეიძლება არც თქვას, რომ ის ცუდ ხასიათზეა, მაგრამ დეპრესია ჩივილების სახით ვლინდება: “ჭამა არ მინდა”, “თამაში არ მაინტერესებს”. სანამ ბავშვს ფორმირებული არ აქვს წარმოდგენები სიკვდილსა და სიცოცხლეზე, სუიციდის მცდელობა არ ჩნდება. ამიტომ 6-8 წლამდე ასაკის ბავშვებში სუიციდური ტენდენციები უკიდურესად იშვიათია. ხოლო მოზარდებში, რომლებმაც ძალადობა განიცადეს (განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა), ხშირად ჩნდება მდგრადი დეპრესიული განცდები, სიკვდილზე ფიქრი, სუიციდური მცდელობები.
- ▶ აგრესიულობა სხვებთან მიმართებაში. ბავშვს შეიძლება აღენიშნებოდეს გაღიზიანების “აფეთქებები”. ის ვერ აკონტროლებს თავს,



ჩხუბობს, სასტიკად ეპყრობა ცხოველებს, ძლიერ ბრახს ან რისხვას ავლენს. მაგ. თოჯინების დამტვრევისას ბავშვები ავლენენ სათამაშოს ხელებს, ფეხებს, თავს, უთხრიან თვალებს. აღსანიშნავია, რომ ბიჭებსა და გოგონებს განსხვავებული რეაქციები შეიძლება ჰქონდეთ: ბიჭები უფრო აგრესიულები არიან სხვების მიმართ, ხოლო მობარდი გოგონები უმეტესად აგრესიას საკუთარი თავის წინააღმდეგ ავლენენ.

- ▶ თვითდესტრუქციული ქცევისკენ მიდრეკილება. ბავშვი ზიანს, ფიზიკურ ტკივილს აყენებს საკუთარ თავს. ის თითქოს ეხმარება საკუთარ თავს, რომ დაუბრუნდეს რეალურ ცხოვრებას, რადგან თავის ამრებსა და გრძნობებში მუდმივად იმყოფება მის მიერ გადატანილ, ფიზიკურად და ფსიქიკურად მატრავმირებელ სიტუაციაში. ფიზიკური ტკივილის გადატანა მისთვის უფრო იოლია, ვიდრე სულიერი ტკივილის. ამას გარდა, ბავშვი თვლის, რომ ის ცუდია და საკუთარ თავს ისჯის.
- ▶ დისოციაციები. ბავშვი თითქოს საკუთარ თავს გამოჰყოფს სხეულისაგან და ფიქრებში ეფლობა, სამყაროსადმი ემოციურ გულგრილობას ავლენს. ამგვარი მდგომარეობა ბავშვს შეიძლება უცებ გაუჩნდეს, თამაშის დროსაც კი, თუკი ვინმემ მას აწყენინა ან რაიმე მატრავმირებელი მოვლენა გაახსენა. გამოთიშულობის მდგომარეობა ძალზე ხანმოკლეა, მაგრამ თუ ბავშვი ვერ იპოვის ადაპტაციის სხვა, უფრო კონსტრუქციულ ხერხებს და ხშირად მოიშველიებს პრაქტიკაში ამგვარ დაცვით მექანიზმს, ამან შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების გაორება, რამდენიმე “მე”-ს განცდა, თუმცა ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

## ანამნების უზრუნველყოფის და დაფიქსირების თანდათანობა

ანამნების დაფიქსირება სამედიცინო დოკუმენტებში ხდება სრულად, რაც ხელს უწყობს ძალადობის ფაქტის იურიდიულად დადასტურებას. ექიმმა ასევე უნდა გადაწყვიტოს, გამართლებულია თუ არა ანამნების დეტალური შეგროვება.

- ▶ ანამნების დეტალური შეგროვება გამართლებულია, თუ:
  - ▷ ბავშვს თვითონ სურს ფიზიკურ ძალადობაზე საუბარი;
  - ▷ ანამნებური მონაცემების შეგროვება აუცილებელია ტრავმის ხასიათის დასადგენად და მკურნალობის დასანიშნად;
  - ▷ აუცილებელია სასწრაფო ქმედებები ბავშვის სიცოცხლის დასაცავად, შემდგომი ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

- ▶ გამართლებული არაა, ბავშვს ვკითხვით ძალადობის შესახებ, თუ:
  - ▷ ბავშვი ძალიან მოუსვენარია;
  - ▷ დიაგნოზის დასაზუსტებლად და მკურნალობის დასანიშნად დამატებითი მონაცემები არ გვჭირდება;
  - ▷ სპეციალისტი არ არის მომზადებული ან არ აქვს ძალადობაგანცდილ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება;
  - ▷ ბავშვმა ცოტა ხნის წინ ისაუბრა განცდილ ძალადობაზე სხვა სპეციალისტთან.

*ანამნეზის შეგროვებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი, შესაძლებელია, შეეცადოს ძალადობის ფაქტის დამალვას, რათა დაიცვას მშობელი ან იმის გამო, რომ ეშინია, მშობელმა კვლავ არ დასაჯოს ფიზიკურად.*

- ▶ მოერიდეთ:
  - ▷ ფიზიკურ კონტაქტს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან;
  - ▷ შიშის, ზიზღის ან დაეჭვების გამომხატველ ემოციურ რეაქციებს ბავშვის მონათხრობზე;
  - ▷ გრძნობების მძაფრად გამოხატვას, იმის მიუხედავად, რასაც უნდა ყვებოდეს ბავშვი;
  - ▷ პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას;
  - ▷ სხვა სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგის, გამომძიებლის) ფუნქციების საკუთარ თავზე აღების მცდელობას;
  - ▷ ბავშვის მონათხრობის ინტერპრეტირებას.

## ბიბლიოგრაფია

1. ქართული სამედიცინო ინტერნეტ ქსელი /თინეიჯერების პრობლემები/  
<https://urlzs.com/haKxf>
2. ერიკ ერიქსონი/ ფსიქოსოციალური განვითარების სტადიები/2018, 10 თებერვალი <https://urlzs.com/JEKQv>
3. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ამროვნება/თავი პირველი: ამროვნება და შემეცნება საკლასო გარემოში/ <https://urlzs.com/KLMzh>
4. მაია ფირჩხაძე/ დიფერენცირებული სწავლება როგორც მოსწავლეთა რეალობაციის ეფექტური საშუალება/14 სექტემბერი, 2018/ <https://urlzs.com/6gkv8>
5. თამუნა მერაბიშვილი/ჰიპერმზრუნველობა ანუ „მახრჩობელა მშობელი“ - შეცდომები ბავშვის აღზრდისას/2018/ <https://sptnkne.ws/hNGh>
6. გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ/ „თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში“/მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი /2016 წელი/ <https://urlzs.com/X2UVz>
7. მარინე ჯაფარიძე/ერიკ ერიქსონი – პიროვნების ფსიქოსოციალური განვითარება/27 ივნისი, 2014 წელი/ <https://urlzs.com/7uX71>
8. ლელი ყიფიანი/ რა შედეგი მოჰყვება ჰიპერმზრუნველობას - 7 რჩევა ფსიქოლოგისგან/ 21 ნოემბერი, 2018 წელი/ <https://urlzs.com/AKqVH>

